# ცისკარი.

და

# ქართული

## სალიტერატურო

## ჟურნალი.

**1857**

№ 12, დეკემბერი.

ქ. ტფილისს.

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყუარო სმენად, მიითუალე, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისოსზირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857** წელსა.

წიგნი მეთორმეტე.

დეკემბერი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

**ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ. г. Тифлисъ. 1 Ноября 1857 года. Исправляющій должность грузинскаго Цензора Св. Алексѣевъ.

# ც ი ს კ ა რ ი.

## ქ ა რ თ უ ლ ი

## ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ჟ უ რ ნ ა ლ ი.

### პ ო ე ზ ი ა.

### კნიაჟნა მარიამ ერისთავისას. (*)

მარგალიტურნი გიხილე ლექსნი წყობილნი,
ვითა მთიებნი ცის არე-მარეს ცნობილნი,
მუქ-სხივ მდინარე ნათლისა ღობილნი,
ოქრო ზრმმელს შინა უზრუველად გამოდნობილნი!

ტურფა არისო ამის ესრეთ მქსოველი,
ესრეთ სულმნთები, ესრეთ მაღალ მგრძნობელი:
ქართულის ენის ესრეთ ტკბილად მწყობელი
და ოქროს კალმის ესრეთ ტურფად მრხეველი!!

---

(*) ლექსი ესე თქმულია, იმ ლექსზედ, რომე-ლიცა დაბეჭდილი იყო ცისკრის მეცხრე ნუმერში.

ქ:

მწადიან მისდა მაკრავი და ლილვენა,
სადმრეთო გრძნობისგან მიეფრთმევა მას ქება,
მისნი შაირნი მეცლად აღმართებნა,
და ივერის ცისკარზედ დამყარდება!

აქა ასული, ივერის შა, სქელი,
სული ნათელი და კადაში ქრისჯული,
დავითის ქნარის საიდუმლოთ მართული,
მიუწვდარით ყოველთა სმენა, გრძნობა და გული.

ჯ.

## ლამისყანა.

საღამოს დროსა, მშვენიერს ჟამსა,
ვზივარ ბალკონზედ, ვსჭვრეტ ბუნებასა:
წყლისა შხუილი, ხეხილთ შრიალი,
ბულბულთ სტვენანი, ფრინველთ შრიალი,
თვალთ აშვენებენ, ყურსა ატკბობენ,
გრძნობასაც უცხოთ განაღვიძებენ.
ველნი მწვანენი, ყვავილოვანნი,
მთანი მაღალნი, ტყით დაბურვილნი,
მოქრის ნავი ჩრდილოეთის მხრით,
ატკბობს ბუნებას მშვენიერებით!
ვერ დავაჯერებ, კარგმა მხატვარმა, დახატოს იგი
თავის მხატვრობით,
ასრე მშვენივრათ, ასრე კარგათ, ვერ შეასხამს თავის
კრასკებით.
ახ! რა კარგი ხარ, კეთილ ცხოვრებავ,

მაგრამ [illegible] ხარ, საუწყლოებავ!

თ. დ. ერისთავი.

## ვირი.

ვირი ველზედ არ რა სძოვდა ორი თუ სამი დღეოდა,
მოსვენებისა ამიდით სიმსუქნის ზეთი სწუწოდა,
თავისუფლებას ჩემობდა, იწუწნდა შეექცეოდა,
არ ეკადრება სხვა ვირთა, რაგვარათაცა რხეობდა.

მწვანითა იყო აღსავსე იგი ლამაზი მინდორი,
იგვერდივ ტყეც იყო, ახლოს ტბა, მათ ზედა მთუყა და გორი,
დაჭიკჭიკობდა სკვინჩაცა, კავკასითგანცა მას ორი.
არა თუ ვირი იქ ყოფნას, არ ისურვებდა არცა ჯორი.

ვით პატრონი იმ არესა, ვირი ფეხსა აბიჯებდა,
დარბოდა, ხლტოდა, იღხენდა, თამაშობდა და იმჭყვნდა,
მწვანესა პირით ფუშვდა, არჩევდა პირშიდ იდებდა,
კურმანცა იცის განცხრომა, თუმცა ვინმე დაუჯერებდა.

დროს არ დაეძებს სვიანი, სმა ლხინსა არ ანგარიშობს,

რაცა სწადს ბედი უხვაა, არ გარჩევის წინა დაუხკობს,
მას ზედა ნექტარს მანანას, ვითარცა წვიმას დაუშობს,
ბედი ვირს ელაციცება, მისად წალკოტშიდ
შაუშობს.

ვირი ბედსა მიენდობა, ბედიც მკირად უდალატებს,
გაასუქებს, გაალაღებს, ხან ხუმრობით გააბუტებს,
ბევრსა რასმე სხუას და სხუასა ვირი ვირულს მო-
უმატებს.
მაგრამ მისი ყურის ქნევა, რას ნიშნავს არ განუმარტებს.

ვირზედ ბედი რა შესჯდება, შეჲქდო ბედაურია,
წვივ მაგარი, მოქინდრული, მოქინჩულია, გმირია,
ახლოსა მისვლა, მიკარვა, ძნელია და გასაჭირია,
მაშინ აქებენ ყველანი, ვინ იტყვის რომე ვირია?

ერთი რამ ბედსა შევნიშნე, ოდეს ვირსა ესტუმრება;
არა შურს მისთვის ფაშობა, სასახლესა ქება დიდება,
მაგრამ თუმცა იწყოს გალობა, მას ერთობ არ იამება,
ამისთვის ჩემსა მეტრფესა, ხან და ხან გაუმჯავრდება.

ესე აქუს ვგონებ მიზეზად, რა ბევრსა მოთოვს
წყალობას,
თორემ ყვირილი ვირისა, სჯობია კიდევ წიხლობას,
მე ბევრი ნახი მინახავს ეტრფოდა ვირის გალობას,
აქ მოვეწიოთ ჩემს ვირსა, ვჰსთქუათ ნიშნავს
დაუდგრომლობას.

არ ეკადრება ჭკვიანსა ბული დაუდგრომელი,
„ჭკუამ იცისო, ის ამბობს ბული და მისი ხოჟველი.“
ჭრინავს ოქროსა ფრთებითა, ლამაზა განსაკრ-
თობელი,
ოდეს ვარდს ეხალისება, ვარდსა მოარჩილებს ყოველი.

ჩემო მკითხველო. იცოდე ჩემის კალმისა ბოვშობა,
მე არ მიჯერებს შენ მაინც, უბრძანე გიჟი რას
შობა,
ბული რომ ვარდზედ შეჯდება არ შურსო მისთჳს
ფაშობა,
არ იცის რომე არ ვარგა, ასე თავისა აშობა.

რა გულო ჩემი არ ესმის, არა ფერს არას მი-
ჯერებს.
(1) თეთრსა სადაფის ველზედა ყრმაწვლის მსგავსად
იხარებს,
თამაშობს, აწყობს დასადასად თემად და თემად
შაირებს.
თქუენსა თავს გფიცამ ხანდახან მეტისა თქმითა
მაჯავრებს.

ხან გიჟი არის, ხან ბრძენი, ხან მიჯნურია ხან
გმირი,
ხან ახალ დაბადებული, ხან ავაზაკი და მხირი,

(1) სადაფის ველად, მწერალნი ქაღ. ალდს გუწოდებთ.

რ. ე.

ხან მაღლა მფრენი არწივი, ხან გვრიტი უცხო და მწირი,
მე მისი არა მესმისრა შევჩვერებივარ და ვსტირი.

ვინა ჰსთქვას მისნი საქმენი, სადაურს ხესა სადა რგავს,
ეს ვერ განიშნე ლალამან, დამალულს ყარყუშს რა მოკლავს,
ან კბილი ბუდსა მოავლო, ვიცი გაამრობს იგი ტყავს,
მე ვერ მიმხვდარვარ, არ ვიცი; თუ რა გუარია რასა გავს.

აწცა შეხედეთ ამ თქმაშიდ, ქვემო რა დაუწერია,
,,ვირი არისო ფერით და სიმარდით ირმის გერია,
ნება მისია დასწეროს, მე რჩევით ჭკუა მერია,
რაცა ერჩიოს იგი ჰსთქვას, მას ჩემგან ჯუარი სწერია.

ის ამბობს ვითომ იმ ველსა იგივე ბედი მთავრობდა,
რომელი მისსა მეტრფუკსა, ასუქებდა და უყვარობდა,
უყვავილის მწვანის ამყუშვას წახთენას არ ვინ მჯავრობდა,
ვირი ვირულად ვირობდა; რას დაეძებდა, ხარობდა.
იტყვის რომ დარდი არა აქვს ბალახობს, არგებენს მწერია,
კოტრიალობს და მას ჩალის რაცა ვირისა ფერია,

გადასხლტება და წიხლს ზე ყრის რა უჭირს ბედ-
ნიერია,
ხამარდით, ფერით ნუ სცნით ვირი ირმისა გვერის!

აწე მოსწყინდა მწვანე და გემო ია ნარნარისა,
იასამანის ტანი, და ზამბახი იმა არისა,
ფოთოლი, მოლი და სვინტრი, თავის უყალის ბა-
რისა,
უჭკვილთ ღელოფალს დაუწყო მიჯნურობა გიჟარისა.

ჭირი მოაკლო ურდოლა, მასი რა კოცნა, მოკრეფა,
სწადდა სვიანსა რათამცა, უკვილებზედაც იმეფა,
რა ნახა ჭირი ვირისა, შეკრდა შეშინდა ის მეფა,
უბრმანა სადა გინახამს, რომ კირმან ვარდზედ იმეფა.

ზრმანა და ნემსი რამექრა, კარიხა ბაგე ნარნარსა,
ასეთი დაიზრიალა, ღმერთო! რა გმირი, მკნე არსა!
ზედმაცა ჩაუფუჩუნა, არ შეჰსნის ვარდი მის გიჟარსა,
გაიქცა, მარბის და სწყევლის, გორას, მინდორსა და
ბარსა.

დასუსტდა ერთის ნემსის კვრით, არა აქვს ღონე
და ძალი,
წამოწვა ძირთა ხეთასა ვითომ დაჭრილი და მკრთალი,
ზედი თავს უვლის და მოაქვს, ხსნა და ხსნის გვარი
წამალი,
ოხ! კარგო ჯოხო, სადა ხარ, შენი სჯულია მა-
რთალი.

წევს, თუალს არ ახელს, შეხედო გაგეცინება
მკუდარია,
აღმოითხრებს ხან და ხან, ასე რომ შესაზარია.
ხან და ხან ყურსაც დააქნევს, ეს მათეული ცხვარია,
სულ მისი ყოფა და ქცევა თავის ყუდლების ბარია.

სტირის, კვნესის, ტკივა და შფოთავს, ვითა ნარნარი
ჩჩვილია,
ბევრმან წამალი დაადვა, სამკურნალოთ და ლხინია,
ჟამი: სჯობს რომ წარმოდგვს, დიდის ცხვარისა
შვილია,
იმას რაიმე საზრდოი, ნუ არის ჯერ შეცვლილია.

ფრიად იმა რომ ესმა, დიდის ცხვარისა შვილობა,
წარმოიდგა მშიშედ და წყნარად, იხმარა დიდი ზრდი-
ლობა,
მიმოიხედა იეჭვნეულად, ნახა მწვანილთა შლილობა;
ზარმაცად, კვნესით დაიწყო შექცევა და სადილობა.

პირი რა მოსდვა მწვანესა, თუმცა არ სტკივა
მას ბაგე,
სანაზარსავან შეემთხვა, კვნესა, ტკივილი მან აგე,
ბედსა უცინის და ეტყვის ,,რასთვის მეხუმრე რათ
მდაგე''
ასეა გასუქებული ვირი, მუტრუკი მებარგე!

ბედი არას ეუბნება. ვინ არი ანუ რა არი,
მაინც რამე მოუვიდა, ჭამს ვითა გაუმაძღარი,

ვინ გაუშვლდავს ტალმ უერთას, ზალსახოზისა რამ გარი,
უცებ შეხედა, დაფიქრდა, ვგონებ ფარსაკი არ არი.

გაჩერდა, რაღაც დაფიქრდა, ჩავარდა ღრმას გო-
ნებას,
ზედმან იქ დაუშვნიაკზიკა რას ფიქრობ შენსა მზერობას?
მას არა ესმის, ვინია და ხედავს ქვეყნის-ღდეობას,
ვინ არის მეოფე ხოფველშიდ რომ მათ შეუშლის
ზნეობას.

შემოიხედა ცისა ნახა, მთიურნა წყლისა დაღლევა,
მიმავლ წავიდა მივიდა იყო ხმა წყნარას და კმევა,
რის გაათავა ჩემთავხედა, ნახა რომ ყური ერჩევა,
ხოქვა იყური რადა იქმნება, რომ წრდილი ესრე
იჩევა.

ფრიად იამა ხილვაცა მისისა ცვანადობისა,
მდგრდი, ქინდრი, შუბლი, ცხვირი ხოცმუჩვე თავ-
ლადობისა,
ჩვლა ერთი სიმდიდრე ნიშანი თავადობისა,
იყო სარსარი სასართო თესვნა გორადობისა,

ტუჩი მართლა აზნაკი და ისლოკენი ქმნა ნენა,
შეხცა და შემოუცავლდა შექმნა ჯდ ლოჟენი ვაჟნა,
იყო რბენა და უვიოილი წილი და უზედუჩება,
ეს არის მათი გალობა და მათი ზედაჩება.

წინარეცა ვხთქვ რომ ზედსა არ უყვარს მისი
გალობა,

რა ესმა ვერის ყვირილი, შეექმნა გულისა მკრთალობა,
განს გამოფრინდა მოსცილდა, წაიღო მისი წყალობა,
არ მიეყვარს ბედის სტუმრობა, არც ვერის თავის
უფლობა.

მკველიც მიიჭრა სმაჩუდან რა ესმა ვერის
ძახილი,
იხოლეს მათის გულისა, ვერი მსუქანი, ჭიხილი,
ვერმანც შეხედა დაიწყო საზრალომ ბორგვა ფო-
რხილი,
შეიქმნა ვერი მკველთათვის, ვითა ღორთა თვს რკო-
ხილი.

რაჲ ვყო, ასწრედ დასრულდა ვერისა ქეთილ
დღეობა,
ჯამაჲ, ლხინი, შექცევა, ბედი და თავის უფლება,
ნაზობა, წოლა, აღდგომა, ვაება, მისი გალობა;
მგელთა ურილობა, ლხინობა, ბედისა გულის გრი-
ლობა.

ასეა ესე სოფელი და ვერის ბედნიერება,
ხალხთა ფეხქვშ ცარიელი ბედი აქვს გაიბერება,
მაშინ აქვს სული და ხორცი თუმც არა გონიერება,
გადაგა ლხინი ყოველი და მისიც ბეჯნიერება.

ვინც რომე თავის ბჭარისა წერასა გადაუხდება,
ანუ ტყვე მოკლავს, ანუ დრე, შური ან გულშიდ
მოხვდება,

მამა და მეგობარს მოყვასსა, და თჳსსა ბედსაც მოსცდება,
ყოველი გარდასავალი ამა გზისა შეხვდება.

ჰ.

ეკატერინა მეორისა მიმართ, დერჟავინის მიერ, ღრთისა მეუფლთა თანა დამჯდომისასა.

შექრო-პოლის მიხვალ მშვიდობით, თავსა დაფნით ხურგვილი,
თანა წარგზავნის ჩვენთა, რუსთაღმი ჯვინტე მშვე-ნელი;
მიხვალ.... იხილე მეფსა, სრულად შეუწყობთა ადგ-სილი.
შენ გარე ერი საკრებოს, ესთაა, შენი მჯერმეტელი,
ვით ნაზის გაზაფხულისა, შენდა წინ-მომგებელი;
მეწამულისა სამოსლით ცისკრისა მანათობელი.
მიხვალ თქვალთაცა მაქცევ, მათდამი კითარ-დმერთად;
ერთის ღიმილით შეღვრება განცხრომა ჩუქენი შეუძნა,
სამეფოსა დიდის მწყობრისა, შეუქმნით ბრწყინ-ვალება;
შენ იყავ წინა მძღომელი, თჳთ აკოანი მეფე;
გჯერ უქმენ მშვიდობის მომქონსა, თქვალნი აღე-მკვრ-ვალნი;
შენ შორის ამათ მეფებათა არიან აღმომყვითხავნი
ამათვე მიმდევრობენ მტკრთველნი მშვიდობისანი.
ვითარცა მეფე სამსახურით, უხუცებით ჯილდოს მიუ-ზმლი,

ვითარცა დედა ობოლთა ნუგეში დაცვამრგელი;
შვილთ, მეუღლეთა მოკლებულთ უშურველად აღმად-
გენელი;
მჴსნელი დიდევსა პყრობილთა, წარტყუენილთ მამ-
ლიდრკენელი;
უბოროტოთა ზრახულთ ცოდუთა მიმტევებელი,
საჭიროებს დროსაცა სისხლისა დამთხეველი;
ხოლო მშჳდობის ჟამსავე ღვთიურად ჩუენ საყ-
უარელი
ჩუენისა ბედნიერების მარადის მაახლებელი.
განაგრძობ ჩუენთა ოქროანთ წელთა
საზოგადოსთჳს განსასუენელთა;
აღურიცხუელთა შენთა-ცაერთა
მორჩილებულთა ქუეშე შენს ჴელთა.
ტალავარიდგან ვიდრე საუდრამდე;
პოროცუეთა ზე შუა მისვე მხუედრადმდე
მბრძოლთ რუსთა სულთა განსუენებადმდე.
იქმნენ ბედნიერ ყოველნი შენ მიერ:
მწყემსი, მთავარი თანასწორ მლიერ
ხოლო ჰსჯულითა ერთ სახედ მდგმიერ,
განჰყოფ ჴელსა ცხოველად მყოფელსა
მნიად მტკრთველსა მიწის მშრომელსა;
კარკს მიუტევებ არ მქონებელსა,
ოჴნაკნი. ველნი მით აღყუავდებიან
ჴელთა საქმარნი უხუე იგზავნებიან,
ნავთა სავრილსა განისვენებიან,
ოქროს მდინარე ჲ ვეცხლისანი
ოძმით ნევადმდე განრთხმულნისანი,

მუნ შეკრებილნი ერნი სხჳსანი;
დამკვემებელნი კეთილისანი.
ჰკუალად ესენი მოაქცევნ ქუხილთ
ნეტარნი დღენი ჰამნავად ყოფილთ!
საუკირთ ბეგარნი ქარით მოხმულნი
ათასის კაცის გარეგამომხმელნი.
ერი ერყევის ვითარ დელვანი,
ყოვლით კერძო ჴმლის სრულნი შეჭმნანი,
მტერთა, მოყუასთა ამბორებანი;
მორის მეკვთა გმოვანებანი,
სახლებთა შინა ცრემლთა დენანი,
მამათა, შჳლთა, ცოლთ შესჭმუნვანი.
ეჰა თქუენ ლომის, სულის მქონენო,
მამაცნო ბრძოლის ფრიად მოყუარენნო!
მოხედეთ ამას ნაკუშთთ სახესა,
შეეაყუსწორეთ ბრძოლისა წესსა:
არს მუნ კუნესანი ბგერა და შიში;
აქა განცხროომა, კლდომა ვიშ ვიში;
მუნცა სიკუდილი სნეულებანი;
აქ საყუარული და ცხოვრებანი.
ესხედვა მოკლულთა ვითარ აჩრდილთა
მოქადულთ გასმენთ მათ სასყიდელთა;
უბრალოებით სისხლით შესვრილთა.
გარნა გვირგვინოსანო სათნოებანო!
ეჰა! ანდელო ჩუენ წყნარით დღეთაო!
ეშტირინავ! ვარით მოწამენი
არ იყო შენკან სიკუდილთ მიზეზნი;
არ ემიებდი ბრძოლით დიდებას.

პა.

გარნა ჩუენთა ზნეთ განცანათლებას.
განმშუენდებოდი მყუდროებითა,
ცრემლით სიუხვითა გამოხმობითა;
შენთჳს ჰამო არს ყოველი სოფელი,
იქმენ ბრძოლითა მომშორებელი.

დერჟავინი.

შემშურდნენ ესე შაირნი, ვითომ მენუბა თარგმანი
მაგრამ ვერ ვუძლე საფერად, ვერც შევაწიე სხუა ურმანი;
ვისაც ვსთხოვე გამკიცხეს, არ გვაქუსო დრონი საქმანი,
ჩოგნი ქაღალდსა ვსთამაშობთ, ზოგთა სხუა გვქონან საქმარნი.
მოვიძღვნით ქართუელთ მკითხუელთა, მაგრამ დავჰსმინებ ენოვასა,
დუთის-გულისათჳს ნუ ჰკარგავთ, ძუელის ენისა ხსოვასა,
საკიცხელია ყოველგან მოგვაღუწბს დიდსა გლოვასა
გვმტყუვიან თჳსი დაჰკარგეს, სხვისას ვერ ჰყოფენ შოვასა:
თუცა გამკიცხოთ რა მგამა, სიტყუათა უსწო-რობაზედ;
მისთჳს არ ვიწყებ არას დროს, არცა თავსა ვჰსდებ ბრძნობაზედ,
რასაც შემეძლო დავჰსწერე, არ ვსცილდებით ჯობნაზედ

თუ იცით უგულამ გამართეთ, ქართულის გუჯარის
წყობაზედ,
დრო შემჩნდა მარტოობისა, არ გაგაცარე ამაოდ
ჰქლით ვიდრე დერქავნისა შაირნი ცხებილნი საამოდ;
ფიქრისა განსალტოდველად, თარგმნას კელი გჰყავ
საღამოდ
რედაკტორსა უფსიტოვ დაბეჭდოს, ცენზორამან მარ-
თოს საჴმაროდ.

დ. ციციშვილი.

# მოთხრობა სოფლელისა.

## პირველი სამხარი.

ჩუჱნს სოფელში იყო ერთი ქალი, თუმცა მოხუცი, მაგრამ სასიამოვნო დედაკაცი და მთელის სოფლის საყვარელი. სახის მეტყველება იმ მოხუცებულის დედაკაცისა დაგვიმტკიცებდათ, რომ ყოფილა ოდესმე მეტად მშვენიერი ქალი. ის უმზგავსებოდა. თუმცა არა ახალს ბუსუსიან ატამსა, გარნა უხორცელი, ხუთთა ვაშლსა, - ვაშლსა, ზამთარში გარგად შენახულსა. ჭკვიან თუალებში უბრწყინავდნენ ის ცეცხლის ნაპერწკლები, რომელნიცა არიან ხოლმე დამამტკიცებლად აღნაგზებ გულის მხურვალებისა! რომ დაგვეკვირვებინათ თვალი სახისათჳს, უეჭველად დაატყობდით, რომ ოდესმე შემკობილი ყოფილა სიყუარულის ჯაჭვითა, რომელსაცა დაუდვია თავის მეჭედი თჳთოულს მის ასოზედ.

ის იყო დამამშვენებელი ჩუჱნის სოფლის საზოგადოებისა, ამისთჳს ხშირად შევიყრებოდით ხოლმე იმის სადგომის წინ, რომელიცა გამშვენებულ იყო მშვენიერის შეფოთვლილის ხეებითა, სადაცა უბრძანებდა ჩაის მომზადებასა და ხშირად სამხრობისასაც იმ მშვენიერს ხეებ ქვეშ.

ჩუჱნს მასპინძელს ქალს უყვარდა მოთხრობა, მოგონება წარსულთა დროთა, ხოლო ჩუჱნ გვიყვარდა ყურის დაგდება. ყოველი თქუჱნი მოთხრობა, უთხარით იმას ჩუჱნ ერთ გზის, არიან ლექსნი,

ყურადღებისა, რა არიან სასიამოვნონი. მაგრამ ეს კი უნდა გითხრათ პირმოთნეობით, რომ უკეთუ ყმაწვილ ქალობისა თქუენისა გარდასავალი გვითქვა ჩუენთვის, მაშინ სასიამოვნო იქმნებოდა. რა კარგი შემოვნება გქონდათ! მოუგუგო ქალმა ღიმილითა. მართლად, რომ ჩემი თავს გარდასავალი კარგად გაგართობდათ თქუენ; მაგრამ მე არ მიყვარს წარსულის საქმის მოგონება, ამისთვის რომ ხელმეორედ დარდებს ამიშლიან. ამასთანავე ესეც უნდა გსთქვა, რომ გაიგოთ ჩემი თავს გარდასავალი, არ დაიჯერებთ და ტყუილათ პირი რაზედ მოგაცდინო.—გარწმუნებთ რომ, ყოველსავე დაგიჯერებთ, რასაც კი იტყვი, მივუგე მე. რასაც კი იტყვით ქსენიც ყველას დაიჯერებენ, როგორც სრულიად ჭეშმარიტებასა. ხომ არას მოუმატებთ ჩემს ნათქვამს? მითხრა იმან. არცა ერთს სიტყვას.-მანამ მე ცოცხალი ვარ ხომ არ განსთქვამთ?-არათუ თქუენ, მანამდი ჩუენ თითონ ცოცხალნი ვართ, არცა ერთი სიტყვა იქნება განთქმული. აჰ, არა! სთქუა იმან, მე მაგას არ მოგთხოვ და გაძლევთ ნებას, რომ როდესაც იქმნებით ჩემს წლოვანებაში, უამბოთ თქუენთა მეგობართა და ამხანაგთა ამბავი ჩემი ქალიან ახალგაზრდობისა. ხოლო წინათვე გაცნობებთ თქუენ, რომ ჩემი თავის გარდასავალი ასე გრძელია, სამ დღემდინ ძლივს გავათავებ, თუ რომ ყოველ დღეს სამხრათ მეწვევით. სამხარზედ გიამბობთ.-ეგ უფრო უკეთესი, მიუგეთ ჩუენ. რა მოგვიტანეს და რა მოვაყოლეთ ჩაის სმასა, დაიწყო მასპინძელმა შემდგომი მოთხრობა:

ესრე დავიწყე მდიდარ მდგომარეობაში, გარნა არ ვიცოდი ჩემი სიმდიდრე. მამა ჩემმა, ბედნიერის ვაჭრობის საშუალობითა, მოაგროვა დიდი ფული და მოკვდა, დამტოვა რა მე ყმაწვილი; ხოლო დედა მომიკვდა მამის ჩემის წინათ. ბიძა ჩემი, ზედამხედველი ჩემი, და მამიდა, ცოლი მისი, იყვნენ ორნი-ვენი ღვთის მოყვარენი, გარნა ძუნწნი, როგორც თავიანთ ქონებასა, ისე ჩემს ქონებასა ძალიან უფრთხილდებოდნენ. რაც უნდა ნაკლულევანება მქონოდა, არაოდეს არ შემისრულებდნენ და ყოველსავე მათმენინებდნენ, მარწმუნებდნენ რა, რომ ვარ ძალიანის ღარიბის კაცის შვილი.»

სახლში მყოფნი, ყოველნი ერთბამ ცდილობდნენ, რომ არ შემეტყო სიმდიდრე ჩემი, დიდი თუ პატარა. ბიჭი თუ გოგო. ისე დამმორჩილეს და გამხადეს თავისას ნებისა, რომ სრულებით არაფრის უფლება არა მქონდარა სახლში. ხშირად მეუბნებოდნენ რომ მე არა მაქვს სამყოფი შემძლება, რომლითაცა შემეძლოს თავის შენახვა. თუმცა დედი ჩემის სიკვდილის შემდგომ დარჩა ძალიან ბევრი ძვირფასი ნივთები და ბრილიანტები, მაგრამ მე სრულიად არა მომცეს რა, გარდა ამა ოქროს პატარა გულისა. ჩემი ფულები გაცემულ იყვნენ სარგებლებით, მე კი არა მქონდა არცა თუ ერთი ცალი ფული. ასე მეგონა ჩემზე ღარიბი არავინ იყო, მეგონა ჩემი ნათესავების წყალობითა ვცხოვრებდი. იფიქრეთ, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა ეს ჩემთვის!»

«თექვსმეტ წლიდგან არ მინახავს მგზავრობება,

იმე დაკეტილში მინახავდნენ. მე ვხედამდი ქვეყანას მხოლოდ ჩემის ფანჯარიდგან; ხოლო რა შევსრულდი თექვსმეტის წლისა, ვნახე რაღაც სრულიად ახალი და მეტად სასიამოვნო. რა ერთს დილით გამოვიხედე ფანჯარაში ჩვეულებრივ, ვნახე ახალგაზრდა მშვენიერი ყმა, რომელიც იყო მწყრალად მდგმანბეჳთან. ჩუენს მეზობელთან; და რომელიც გარდევარცხნიდა რა თავს გრძელსა თმასა, ყოველ დილას ჩვეულებრივ, საქმის წინად, დაჯდებოდა ხოლმე ფანჯარის წინა, პირის-პირ ჩემის ოთახისა, რათამცა დატკბობილი იყო ახლის ჰაერითა. წარმოიდგინე თქვენ აპოლონ ღმერთი სადამურ ტანისამოსში, ამისთანა იყო ჩემი ალექსანდრე. — ჩემი, გეუბნებით, მისთვის რომ ამა წამიდგან ჩუენნი გულნი შეერთდნენ. ის იყო ჩემი მრთელს ჩემს სიცოცხლეში.»

«შევხედე რა პირველად, მაშინვე შევიტყე ყოველი ის, რაცა წინად იყო ჩემთვის შეუტყობარი: მომეწყინა მარტოობა, ბნელი აზრი რაღაც სიყვარულისა და მეფამ ჩემი მოუსვენლობა. აჰ რა არის საწყალი ჩემის ბედნიერებისათვის, რომ გამოვიდე ამ მდგომარეობითგან! ვეუბნებოდი ჩემს თავს და ვიმეორებდი ათასჯერ; მაგრამ ქვეს მიეყოფოდა საგანსა ჩემის ბედნიერებისასა.»

«მე შევამჩნიე იმას განცვიფრება, ამისთანავე სიხარული, ოდეს პირველად მნახა მე; უეჭველად ისიც შენიშნავდა ჩემს განკვირვებასა და სიამოვნებასა. მხოლოდ დარწმუნებული ვარ, რომ სირცხვილი და შიში, რომელნიცა განუშორებელნი

არიან უბიწოებისაგან, აგრეთვე გამოცხადდნენ ჩემს სახეზედ როგორდაც გულის გრძნობამან მითხრა მე, რომ ახალგაზრდა ქალთათჳს არ არის საკადრისი ჯდომა დიდხანს ფანჯარაში, რომელსაც შეჰყურებს ახალგაზრდა კაცი, ამასთანავე მოწონებით და სიამოვნებით. მაშინვე ავდექ, მოვშორდი იმ ფანჯარას, მინდოდა გავრთობილიყავ რითამე, დავუწყე ალერსი ჩემს ჩიტებსა, რომელნიცა მისხდნენ ყაფაზაში, კიდევ მივედი იმავე ადგილსა; ვშორდებოდი, ვბრუნდებოდი და ნელნელა ვუყურებდი, იმ აზრით რომ შემეტყო ხომ არავინ არ მიყურებდა. საყვარელი ალექსანდრე იდგა უძრავად, არცა თუ ერთს მინუტს მაშორებდა თვალსა, მელაპარაკებოდა შორიდგან სახის მეტყველებითა, მთხოვდა რაღასაც მეტის ვედრებითა და ენა მჭევრად, და სჩანდა მაყვედრიდა მას, რომ არ მინდოდა იმის ყურება ხალისიანად,--

დასასრულ, მოვერიე ჩემის გულის მადასა, მოვშორდი ფანჯარასა მთელი ის დღე.-იმ დღეს ესეც შევნიშნე, რომ დედიდა ჩემი თვალს მადევნიდა ეხლა უფრო, ვიდრე სხჳა დროსა და ცდილობდა შეეტყო ჩემის გულის ფიქრი. მეც, რა შევატყვე ესა და რა ვცდილობდი არ შეეტყო ჩემის გულის აშლილობა, დავიწყე წიგნის კითხვა, მაგრამ მნელი ეს იყო, რომ წიგნში სრულიად ვერაფერს ვხედავდი, გარდა მაგის თვალებისას და მაგის თმისას. დედიდა ჩემმან დამიწყო ლაპარაკი, მაგრამ მე არ შემეძლო პასუხის მიცემა წესიერად და ვუთხარ, რომ თავბრუ მესხმება მეთქი.»

«იმ დღეს მსურდა მალე დაღამებულ იყო, ამის-თჳს რომ ძალიან მინდოდა მარტოდ ყოფნა, სადაც შემძლებოდა ფიქრი, რომლითაცა მენახა ეგება სიზმარში შავი თვალები და შავი თმები — დაჳძინე, ახ! ნეტარ თუ რა ტკბილი ძილი იყო ჩემთჳს, როდესაც ვნახე ის, რაცა სურდა ჩემს გულს!»

«ეს იყო აპრილში, იმა დროსა, როდესაც ყოველი ცოცხლდება და ყოველი ახალგაზრდდება, ყოველი, გარდა კაცისა! ოხ, მე თჳთონ ვყვაოდი მაშინ, როგორც ხეები, და გავიღვიძე მეორე დღეს მზის ამოსვლის ადრე; მაგრამ ჩემს აპოლლონს აესწრო ჩემთჳს, ამდგარ იყო ჩემზე ადრე, და იჯდა ფანჯარის წინა. შევხედე რა, შემრცხვა, მაგრამ მსურდა დამემალა ჩემი სირცხვილი, არ გაჩვენებდი იმას ჩემის გულის გრძნობასა, და ისე ვექცეოდი, ვითომც გართობილ ვიყავი დილის სიამოვნებითა. ერთხელ ამ მდგომარეობის დროს ჩუენი სახენი შეხვდნენ ერთმანეთსა; იმან თავი დამიკრა, მანიშნა ჴელითა და თავითა; ეს ჴელითა და თავით ნიშნება ამას მოასწავებდა, რომ დრო იყო მეტად კარგი. მეც დაუკარი თავი, რადგანც ბოროტებაში არა რაჲ ეჭვი მქონდა და თავის ქნევით მეც გავუხდი იმას თანახმა მასზედ, რომ დღე იყო მშვენიერი. შემდგომ შევიტყე, რომ თუ თექვსმეტი ანუ ჩვიდმეტი წლის ქალი გაუხდება თანახმა ახალგაზრდა კაცსა რაშიმე, მაშინ ისინი უნდა იყვნენ ერთის აზრისანი; ეს არაფრათ მეჩვენა, მაგრამ ბოლოს ვინანე, თუ რათ გავუხდი თანახმა მასზედ, რომ დრო იყო კარგი.»

«ალექსანდრე ამით შეიქმნარა კმაყოფილი ამ ლაპარაკის დასაწყისითა, განიზრახა განგრძელებაცა; დაიდო გულზე ჴელი, რომლითაც მიჩვენა, რომ ამისთჳს დიდად სასიამოვნოა სუნთქვიდეს ჩემთან ერთის ჰაერითა. ხოლო მეც გაუფრთხილებლობითა ისე ვიმოქმედე. ამაზედ ის გახდა უფრო თამამი და ზომამდა რა თვალებითა სავრცესა, ჩუენის სიშორისას, რომელიც გვყოფდა ჩუენ, ამოიოხრა და აიწია მხრები. მივხვდი რასაც ამბობდა, მაგრამ არ შევიმჩნიე რადგან ესეც გაბედა და ამაზედ დავუწყე ყვედრება ჩემს თავს, თუ რათ გავიცან ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომელიცა თუმცა სჩანდა კეთილკაცად, მაგრამ მაინც ჩემთჳს ჯერეთ იყო უცნობი.»

«რამდენიმე დღე არ მივედი ფანჯარასთან, ვცდილობდი გულიდგან გარდაგდებასა, მაგრამ არ იქნა კიდევ, სულ იმაზე ვფიქრობდი, მხოლოდ ის მყვანდა თავში გამოსახული, ვფიქრობდი თუ, რა მიზეზით უცნობი ლამაზი კაცი დადგა ჩემს სახლის პირდაპირ?... მაგრამ კვალად ვცდილობდი ხელი ამეღო განსაკუთრებულ სიამოვნებისაგან, დატკბობისა დილის ჰაერისა და გაზაფხულის სილამაზისაგან. ჰო! ეს იყო ძნელი. ახალგაზრდა უცნობი, ვხედავდი რომ არ იყო უზდელი; არც კადნიერი, იმას ესიამოვნებოდა ჩემი ნახვა: ეს შესაძლებელია, ვფიქრობდი მე და თან ვიყურებოდი პატარა კარებში,-იმას უნდა ჩემთან დაახლოვება: ეს რა გასაკვირველი საქმეა? რისთჳს არ უნდა ვეჩვენო, მაშინ, როდესაც ის ჩემთჳს საშიშარი არ არის? თუ მოვერიდო მაშინ ყველას

უფრო სხვა ნაირად ეგონება. არა, მე არავისა არ მეშინიან და არცა მოვერიდები!»

«მეორე დღეს მივედ ფანჯარასთან, სადაც დავსდე გალია, დაუსხი ჩიტებს ახალი წყალი და მივე საჭმელი; ალექსანდრე ისმენდა ჩიტების გალობასა დიდის სიამოვნებით, და სიშურით უყურებდა გალიასა, თითქოს სურდა ყოფნა გალიაში ჩიტების ნაცვლად. იქნება მკითხოთ, თუ როგორ შემეძლო ყმაწვილი კაცის ნახვა შორიდგან? არა, ეგრე არ არის! თექვსმეტის წლისანი რომელსაც ვართ, მაშინ თვალები გვაქვს მეტად კარგი, უმეტესად ხედავენ ამისთანა შემთხვევებში. თუმცა დამჩემდა დაფიქრება, ღონების დაფანტვა, მაგრამ მაინც ვერ იმალებოდა ჩემის ყურადღებისაგან: ვერც იმის მოთმენა, ვერც იმის მოუსვენლობა, ვერც იმის ყვედრება, რომელსაც გამოვიდოდა ხანი და არ მივიდოდი ფანჯარასთან, ვერც იმისი მშვიდობიანი კმაყოფილება, რომელსაც შევხედამდი ხოლმე ალერსითა-ამ გვარად გაიარა მრთელმა თვემ; უცნობი ჯერეთ კიდევ არ იყო კადნიერი, არცა თუ მე ვიყავი იმის მწყალობელი, არც თუ არა ვწყალობდი.»

«ერთხელ, პირველ მაისს, ჩემ დღეობას, ავდექ რა ადრე დილით, დავინახე იმის ფანჯარაში მშვენიერი ყვავილები, რომელნიცა იყვნენ ახლად გაშლილნი და რასაკვირველია იყვნენ ნუგბარნი, რადგან პირველად იყვნენ იმა გაზაფხულში შემოსულნი. თჳთან ალექსანდრე ზედ დასტრიალებდა და რა დამინახა, მაცნობა მე გამოუთქმელის სიამოვნებითა,

აუწერავის სინარნარითა, რომ ყვავილები მეკუთვნიან მე. ცალ ჴელში მეჭირა კალენდარი, რომელსაცა მხურვალედ აკოცა იმა ფურცელსა, რომელზედაც იყო დაბეჭდილი ჩემი სახელი და მიჩვენა ცხადად რომ იცის ჩემი დღეობა. მაგრამ ძნელი ეს იყო რო, მეკი არ ვიცოდი, თუ რა ერქუა ყვავილებსაცს. რა ეს მანიშნა, მეც თავის ქნევით განიშნე, რომ სწორეთ ამბობს, ჩემი დღეობა არის და მადლობა გარდუხადე, რადგანაც ჩემი სახელი იცის, რომ სო-ფიო მქვა. აქ უცნობმა მიიყრა მარჯვენა ჴელი გულზე, იმ გვარის სახითა, თითქოს რიდასაც მო-ცემა სურდა; ხოლო მარცხენა ჴელი აიშვირა ზეით, ნიშნად ფიცისა.»

«მაშინ ვიგრძენ, რომ გულმა დამიწყო ადრინ-დელზედ მეტად ცემა, ფერი წამივიდა, და ვეღარ გავბედე ჩემი სახემ, ეჩვენებინა, ჭვალად იმის სახი-სათჳს, დავიფარე რა ორივე ჴელებით ჩემი სახე, მსწრაფელ გამოვბრუნდი ფანჯარიდგან.»

«ამის შემდგომად მე აღარა რაჲ მიჩვენი მივე, რომლითაც გამეგებინა ამ გვარი საქმე. ალექსანდრე რომ დამელაპარაკებოდა მე. მაშინ რასაკვირველია ასე მალე ვერ გამიბედამდა სიყუარულის გამოცხა-დებასა და ჯერეთ დაიწყებდა ჩემის ქმაყოფილობის ქებასა.»

«ცხადად ჰსჩანდა, რომ მომცა თავის გული და ჰფიცავდა მუდამ ყვარებოდა. ვფიქრობდი მე, რომ იმას ეკონება ვითომც ჩუენი გულნი თანახმანი არიან, გარნა ის კი არ იცოდა, თუ ვითა შემეძლო უნე-

ბყრად და შეუქცეველად ჩემის ნათესავებისა შევსულ-ვიყავ მოვალეობაში, და შემეთანასმებინა ჩემი გული უცნობ ახალგაზრდა კაცის გულთან, რომელიცა, იქნება, კიდეც დაიცინებოდა ჩემზედ? ყოველი ესე მივარგამდნენ გონებასა და ვაპირობდი ფანჯრის დაკეტვასა სრულიად; მაგრამ ჰაზრმა, საკმაოდ საფუძვლიანმა, გამოცვალა ჩემი განზრახვა. მე მივიღე მხოლოდ ყვავილები-ვფიქრობდი მე და არა გული. მაგრამ იქნება ის უმაწვილი კაცი ღირსიც იყოს ჩემი, იქნება განგება მიგზავნის მე ქმარსა? თუ ის ჩემთვის არის დანიშნული, მაშ ჰქონდეს იმედი! მივ-სცემ დროსა ჩემის მომებნისასა. ვგონებ იცოდეს თუ ვის ხელქვეითა ვარ მე; მაგრამ თუ ახალგაზრდა კაცი მიცნობს მე სასიამოვნოდ, არ უნდა ვიწყინო მე ისა, ახ! იმას კი აღარ ვფიქრობდი, თუ რაც უნდა მოუწონებოდი კაცებსა, ვინ მოინდომებდა საწყალის ღარიბის ქალის შერთვასა? ამ აზრით მე ვცდილობდი ჩემი თავის დამშვიდებასა.»

«ყოველ დილასა რწყამდა ისა ჩემს ყვავილებსა, სუნავდა იმათ მშვენიერ სუნსა; სთვლიდა ვარდებს, რომელნიც გაშლილი იყვნენ; მაჩვენებდა მე იმათ, რომელნიც ჯერეთ იყვნენ გაუშლელნი; ხარობდა იმით და ეალერსებოდა იმათ ხოლო მე გაკვირდებოდი ხოლმე, ვხედავდი რა იმის ზრუნვასა ჩემს ყვავილებზე, შეუნიშნავის სახითა დღითი დღე ვუყურებდი იმას უმეტეს გაბედვითა და დიდხანს. ერთხელ ჩვენნი თვალები შეხვდნენ და არ უნდოდათ მოშორება ერთმანეთისაგან; ის იყო აღძრული

უცხო სახითა,-აკოცა დიდის სიამოვნებითა ერთს ვარდსა, შეუბერა თავის კოცნასა და მანიშნა მე ჴელითა, რომ გზავნის ჩემთან. თქვენ იგულის-ხმეთ, რომ მე არ შემეძლო დამეტოვა ამისთანა კადნიერება დაუსჯელად; იმავე წამს მოვშორდი ფანჯარას და დავიფიცე, რომ აღარ ვჩვენებოდი. და მართლად რომ არ ვეჩვენე... თქვენ რა გგონიათ?... მთელი კვირა!.... მთელი კვირა!.... იფიქრეთ ჩემნო მეგობარნო! როგორი მოთმენაა ახალგაზდა ქალისათჳს!...»

«წყეული გული არ მამეშვა, მეტანჯავდა მეტად და რა ვეღარ იქნა, ვიპოვე ღონის მიება კვალად ნახვისა არა ცხადად, არამედ იდუმალ, თითქმის ზედიზედ უყურებდი ხოლმე ფანჯარიდგან. ამ დროს შევნიშნე, რომ პირველ ორ დღესა, როგორც ადრე, რწყამდა ყვავილებსა, მაგრამ ნაღვლიანი და ბნელის სახითა, რისგანაცა ვარდები ასე გონია სჭკნებოდნენ; უყურებდა მწუხარედ, შამოხედამდა ხოლმე ასჯერ ჩემს ფანჯარასა, და არა ხედამდა რა არავის, მიდიოდა ისე, როგორც საწყალი მთხოვარი, უარ-მიღებული განმკითხავთაგან. მესამე დღეს ვნახე, რომ ყოველი იმისი მოთმინებაც აღისპო; დანამა რა ცრემლითა ჩემი ყვავილები, მოსწყვიტა ის ვარდი, რომელსაცა აკოცა ასე უბედურად, შეიხურა ფანჯარა და დაიმალა.»

«შემდგომად ორის დღისა ნაცვლად ალექსანდრესი ვნახე კაცი, იმის ოთახში, რუსულად ჩაცმული, ჴელში გრძელის ჯოხის მქონებელი, რომელიცა გაივლიდა და გამოივლიდა. ოხ! ეს აქიმია! ვფიქ-

რობდი მე: უთუოდ ავათ არის, ავათ არის ჩემის მიზეზითა, ჩემის სასტიკ ქცევისაგან!... რა ვქმნა? როგორ მეთხოვნა ჩემის დანაშაულობის მიტევება; რა გზით მეცნობა იმისთჳს, რომ მე ვიმყოფები სინანულში? ბოლოს ვიპოვე ღონის-ძიება.»

«ის კაცი მოდიოდა დღეში ორჯელ; უცდიდი იმას, რომ მიმდგარ იყო ჟანჟაკისთან, დავინახე რა რომ მოდგა, ნაღვლიანის სახით დაუკარი თავი, იმანაც აგრეთვე დამიკრა თავი, არ იცოდა რა, თუ ვისა-დ̃ მიუბრუნდა თავის ავათ-მყოფსა, რათა ეკითხა ჩემი ვინაობა. ესეც საკმაო იყო ჩემთჳს.»

«ახალგაზრდა ალექსანდრე არ დაურწმუნა მარტო ექიმის ნათქვამს; უცდიდა რა მას თავის ოთახიდგან გასვლასა დ̃, რა ნახა ექიმი გასული, იმ საათსვე ადგა ბაჯბაცით, მოვიდა ჟანჟაკისთან, სადაც და-ვინახე, მაგრამ რა დავინახე!... ისე გამხდარ იყო, ისე ფერ-მკრთალი შექმნილი იყო, რომ შემეშინდა დ̃ ვერ შემეძლო დაფარვა მისგან ჩემი უგულითადეს შეწუხებისა. ალექსანდრემ გამომიცხადა მე თავის ავათმყოფობა, დაიდო თავისი ხელი მაჯაზე, შუბლზე დ̃ გულზე; ხოლო შემდგომ, შეხედა რა მწუხარე-ბითა ვარდებსა, დაეცა დაჩოქილი, გამოიშვირა ჩემკენ ხელები დ̃ ითხოვდა მიტევებასა. ცრემლთა დამიწყეს თვალთაგან დენა დ̃ ისიც მიუფრებდა, როგორც ვიწმენდდი. იფიქრეთ თუ ამ ჩემს ტარი-ლზედ როგორ განიხარა? მაგრამ მე ვანიშნე, რომ ისევ დაწოლილი იყო. გამიგონა, დ̃ რამდენსამე

დღეის შემდეგ, ვნახე რომ ჩემი ალექსანდრე მორჩა.»

«იმ დროიდგან ის მეტად იშიშოდა, არა ვაწუენინოსო; აგრეთვე მეცა იმის მიხედვით ვიყავი ფრთხილად, და ვერა გზით ვერ შემეძლო დავიწყება კოცნისა, ფანჯარიდგან ფანჯარაში გამოგზავნილისა; მე მეგონა, რომ ის მოჰფრინდა ჩემამდინ და ჩემი თვალები ასჯერ მზათ იყვნენ სათხოვრად, კიდევ მეორედ გამოეგზავნა ჩემთან კოცნა, რომლისთჳნაც აღარ დავსჯიდი ასე უწყალოდ; მაგრამ ის ვეღარ ბედავდა. მეორე შემთხვევა, უმეტეს საშიშარი, მელოდა მე.»

«თითქმის არსად არ გავსულვარ სახლიდგან, როგორც ზემოთა ვთქვი, შვიდმეტ წლამდინ; მაგრამ ერთს მშვენიერს დღესა მოუნდა ჩემს დედიდას სეირობა მინდორზე, სადაც იყო შეკრება ხალხთა სათამაშოდ და იმასაც უნდოდა ნახვა. იმ თამაშობაში წასვლა უმჯობესიაო, მეტყოდა მე, ვიდრე ფულის მიცემა და სიარული ტეატრშიო... როდესაც ჩუენ დავდექით მეფის მეგლის წინა, ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ბებერი დედაკაცი, რომელსა ეჭირა ლამაზი პატარა ფინია და მკითხა: არ ინებებთ პატარა ძაღლის ჰყიდვასაო? ის ფინია ძალიან მომეწონა და გამოვკითხე ფასი; მაგრამ დედიდამ უბრძანა იმ ქალსა, რათა წასულიყო თავის გზაზედ, რადგანაც არ უნდოდა ფასის გადება.»

«თუმცა სამწუხარო იყო ჩემთჳსა, რომ მომაკლო ამისთანა სიამოვნება, მაგრამ, რა ვხედავდი ჩემს თავს ღარიბ მდგომარეობაში, აღარაფერი არა

ვსთქვი რა, ყოველსავე ნაკლულევანებასა ვითმენდი.»

«მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განკვირვება! მიველ რა შინა, ვნახე დერეფანში დადიოდა მშვენიერი ჩემი ფინია ყელზედ ვარდის ფერ ლენტით შემოხვეული პატარა ეჟვანებითა! სიხარულით აკვიყვანე ჴელში, ვეალერსებოდი და ვკოცნიდი; ხოლო ჩუჩანმა მსახურმა მითხრა, რომ ვიღაც ბებერმა დედაკაცმა მოიყვანაო და დამიგდო სიტყვა, რომ მომეცა შენთჳსაო. დეიდა ჩემს ეგონა, რომ ჩუმათ მივეცი იმაში ფული, დამიწყო ლანძღვა და უკმერება ამისთანა ცუდ უზრდელად ფულის გარდაგდებისათჳს, მაშინ, როდესაც რომ ვიყავი ღარიბი. თუმცა ბევრი მაყვედრა, მაგრამ თავი სრულებით არ მიმართლებია მხოლოდ ვიყავი ხმა გაკმენდით.—»

«შეველ ჩემს ოთახში, და ვფიქრობდი, თუ რა სახელი დამერქმივა ამა მშვენიერის ფინიასათჳს; ამ ფიქრში რომ ვიყავი უეცრად შევხედე-ვნახე ფინიას საყელოდგან გავარდა პატარა ბარათი, რომელზედაც ეწერა: ჩემი სახელია გიშერა, ხოლო გამომგზავნელისა ალექსანდრე!»-ოხ! ეს უეჭველად იმისაგან გამოგზავნილი იქნება-ვფიქრობდი მე-ის რასაკვირველია სასეიროდ იქმნებოდა, და შენიშნამდა რა ჩემს სურვილსა, რომ მეტად მსურდა ამ ფინიას ყიდვა, მიყიდა და მაჩუქა მე! ვინ იცის იმ უმანწვილკაცს ჩემი გულისათჳს მიუცია უკანასკნელი ფული, რომელზედაც მეტი არცკი ჰქონდა. ამ პატარა ფინიასა რასაკვირველია მიხვდებით, რომ უნდა სძინებოდა ჩემთან, ერთს ლოგინში და ეჭამა ერთს თეფშზედ.»

«მთელ ღამეს ვჰფიქრობდი მხოლოდ იმ უმაწვილ კაცზედ და მაზედ, თუ როგორ გამომეცხადა იმის-თვის მადლობა ამისთანა შესანიშნავის და გულის გასაგმირალ სიყვარულისათვის?»

«მეორეს დღეს. დილა ადრიან ალექსანდრემ დამინახა, რომ მე ვიჯექი ფანჯარაში, მეჭირა ხელში ფინია, ვიკრავდი გულში, ვჰალერსებდი და ვკოცნიდი. სიხარულით და მწუხარებით გვიყურებდა მე და ფინიას, და ისეთის მოწადინებით, ისეთის შურით, რომ მე დავივიწყე ჩემი თავი და მოვიხდინე სიბრიყვე. საუბედუროდ იმა წამსა ხელში მეჭირა სარკე: მე მივუბრუნე იგი საყვარელ ალექსანდრეს შემდგომ მოვიბრუნე, ვაკოცე და დავიმალე.»

«არ მახსოვს აღვიწეროთ თქუენ მაშინდელი ჩემი აღელვება, ამასთანავე სირცხვილი და მწუხარება. ეხლა ჩემს გულსა წაერთო სამუდამოთ თავის უფ-ლება, ვჰფიქრობდი მე, ვტიროდი რა თან მდუღარების ცრემლითა; ახლა ახალგაზდა უცნობმა მიიღო მასზე მუდამი ნება; იმან დაინახა, რომ მე ვკოცნიდი იმის სახესა, და თუ ამის შემდგომ ის არ იქმნებო-და ჩემ ქმრად, ჩემი უპატიურება დაუვიწყარი იქმ-ნებოდა ჩემთვის. მე დაუფიცე მაშინ ჩემს თავსა, რომ არ შევერთო სხვა ქმარი, გარდა მშვენიერის ალექსანდრესი.»

«ალექსანდრე, ჩემის განწირულების ჟამს, იყო აღტაცებული სიხარულით, და ჩემის ერთის კოცნის მაგიერათ ათით კოცნით მომიგო. სამწუხაროთ ჩვენდა მეზობლებს ენახათ ეს და ეთქვათ ჩემის დედისათვის.»

«მე გადმომიყვანეს სხუა ოთახში, კი არ მითხრეს თუ რა მიზეზით? მე რასაკვრელია მაშინვე მივხდი, მაგრამ დავემორჩილე ჩემს ხვედრსა და ვცდილობდი არარად შემემჩნია რომ უფრო ეჭვი არ აეღოთ, ვიმყოფებოდი რა მარტო ჩემს ახალ ოთახში, მე წარმოვიდგინე მწუხარება ახალგაზრდა კაცისა, დატყვევებულისა უნუგეშოდ და ვერა ვპოობდი ვერა ვითარსა ღონის მიებასა, რათა შემეტყობინებინა იმისათვის მიზეზი, რომელიც შემემთხვა მე. ამის შემდგომ ვნახე, რომ მოვიდა ჩემს ბიძასთან ვიღაც ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელიც, როგორც ისმოდა ხმა, სარგებლობდა, წყალობითა პირველის მინისტრის წინამძღვარისა, და დაიწყო ჩემი თხოვნა რომ მივეცით იმის შვილისათვის. ეს იყო საკვირველი, რომ ეს აზრი მიეცა ვაჭრის შვილისათვის, თითონ მშვენიერს ალექსანდრესა.»

«უნდა იცოდეთ, რომ ის ვაჭარი იყო დიდი მფარველი ახალგაზრდა ალექსანდრესი, არწმუნებდა იმას ერთს დროს თავის წყალობებით აღვსებასა, და სურდა ეპოვნა შემთხვევა, რათა ყოფილ იყო იმის სასარგებლოდ. ალექსანდრე, არა მხედამდა რა მე რამდენიმე დღე ფანჯარაში, და შეიტყორა, რომ ძუნწი ჩემი ბიძა მზათ არის მიმცეს მდიდარსა, განიზრახა გამოცვლა თავის მდგომარეობისა, და აღმორჩევა იმისთანა გზისა, რომელიც უფრო მალე ამდიდრებს კაცთა; იმან დააპირა მებნა ადგილისა სხუა ვაჭრებთან და თხოვნა მაზე თავის მწყალობელისა. ვაჭრისათვის არ იყო ძნელი მიზეზის

შეტყობა ამისთანა სურვილისა. ერთის სიტყვით შეიტყო, რომ შეკრული იყო ალექსანდრე ვისამე მიჯნურებითა, და სახელობრივაც გაიგო. თუმცა ალექსანდრეს არ უთქვამს არცა ერთი სიტყვა ჩუენს ცნობულებაზე, მაგრამ აგრძნობინა, რომ მიიღებს რა ადგილსა რომლისაგანაც შემოსავალია, აქვს იმედი ჩემგნით გაბედნიერებისა.»

— «მე არ დაგივიწყებ შენ, უთხრა იმას ვაჭარმა, მნახე ხოლმე ხშირად, რამდენსამე დღის შემდეგ. ახალგაზდა კაცი დაბრუნდა სახლში მადლობითა. იმის მწყალობელმა მართლა არ დაივიწყა ალექსანდრე; მაგრამ მეც გამხადა ღირსი თავის ყურადღებისა. იმას გაეგონა ალექსანდრესაგან, რომ მე არა ვარ გონჯი სახითა; რომ მე უნდა ვყოფილვიყავ მდიდარი; შეეტყობინებინა, თუ რამდენი ფული დამრჩა მამისაგან, გარდა ამისა მუნჯი და უშვილო ბიძა ჩემი, ადრე თუ გვიან უნდა მომკვდარ იყო. ერთის სიტყვით ვაჭარმა დააპირა დაქორწინება თავის შვილისა ჩემზე, და სურდა რა დახსნა მისი პირველ შემთხვევაში საშიშარეობისაგან მოცილესი, გაგზავნა ალექსანდრე სოფელში საქმეზედ ახალს ადგილს, ხოლო შემდგომ მოვიდა ჩემს ბიძასთან, რათა მივეცა უგუნურეს უგუნურისათჳს.»

«იფიქრეთ, როგორი განსხვავებაა? — კარგად იცით რა მდგომარეობაში ვიქნებოდი ამაზედ! ვისზედ უნდა გამეცვალა სილამაზის და სიამოვნების სახე როგორი განსხვავება იყო ორ გულთა შორის! ოხ!

ერთი შეხედულობა, ერთი ღიმილით ჩემის საყვარლისა ალექსანდრესი იპყრობდა უმეტეს მახვილით ნებასა ჩემსა. რა დავატყე საქმე როგორც იყო, მე უარი ვუთხარ სრულიად და ვუთხარი ჩემს ბიძასა რომ შვიდმეტ წლოვანებაში არა ჩქარდებიან ქალის გათხოვებასა. ის მეუბნებოდა ვაჭრის სიმდიდრესა; მაგრამ მე დავაჯერე ის, რომ იმგვარი კაცი არაოდეს არ მომეწონება მე.—მაშ თქუენ გნებავთ ქალბატონო—მითხრა მე დედიდამ წყრომითა-შერითით იმისთანა კაცი, რომელსაცა არაფერი არა აბადიარა. სხვის კარზედ და სხვის ბანზედ არის! მე მოვბეზრდი აქამდინ შენს მოვლასა! ან ქმარი უნდა შეირთო, ან არა და უნდა წარმანდეთ მონასტერში-ამ ორში ერთ ერთი უნდა აღმოირჩიო? მე მაშინვე დიდის სიხარულით აღმოვირჩიე მონასტერი იმედითა მით, რომ ვიქმნებოდი იქა უფრო თავის უფალი, ვიდრე ჩემის მეწყის ბიძის სახლში.»

«საკმაო არის ჯერ ესა დღეს, რაცა ვსთქვი; ზოგს ხვალ აღვიწერთ, თუ ვითარი უარესი შემთხვევულება მოეცა ამის შემდგომს ჩემს სიცოცხლესა.»

თ. პავლე თუმანოვი.

(განგრძელება იქნება შემდგომს წიგნში).

## ცხოვრება ქეთევან დედოფლისა.

«ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.»

ანტონი.

მიიღო რა საქართველომ ბერძენთ სარწმუნოება, ქადაგებითა წმინდისა ქალწულისა და მოციქულთა სწორისა ნინასითა, რომლისათვის წოდებულ არს განმანათლებელად საქართველოისა, ჰპატივს ჰსცემს აგრეთვე ყოველთა წმინდათა, მიღებულთ ბერძენთ ეკკლესიისაგან. გარნა საქართველოშიაც, დასამტკიცებლად ჭეშმარიტებისა მადლისა ეკკლესიისა მტერთა ზედა, აღმოჩნდნენ მრავალნი წმინდანი და მრავალნი მათგანნი შეიქმნენ მსხვერპლად დაუძინებელ მტერთა ქრისტესისა და ამისთვის ეკკლესიასა ჩუენსა შეურაცხამს იგინი წმინდათა შორის და ხსენებასა მათსა ჩუენ ვდღესასწაულობთ აქამომდე. ესენი არიან: ნინა, ქართველთ განმანათლებელი, ცამეტნი მამანი სირიისანი, ე. ი. იოანე, აბიბო, ანტონი, დავით, ზენონ, თათეოს, იესე, იოსებ, ისიდორე, მიხეილ, პიროს, სტეფანე და შიო; ქეთევან დედოფალი, ბიძინა ჩოლო-ყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთვს შვილნი და მრავალნი სხვანი. ცხოვრება მათი, როგორც ვგონებთ, იქმნება სასარგებლო საქართველოს ისტორიისათვის და სამოძღვრო ყოველთათვის და ამისთვის ამ პირველ შემთხვევაში მივიღებთ

შრომასა, ჩუჱნის შემდეგნისამებრ, აღწერისათჳს ქეთევან დედოფლისა ცხოვრებისა, ფრიად სამაგალი-თოჲსას და საკჳრველისა ..

ქეთევან იყო ასული თავადი აშოთან ბაგრატო-ვანისა, მეფეთ შთამომავლობისა. იშვა იგი 1573 წელსა სოფელს მ უ ხ რ ა ნ ს, სადაცა ჰსცხოვრებდნენ და ჰსცხოვრებენ აწცა ბაგრატოვანნი ანუ მუხრანიანნი. 1587 სა წელსა კახეთის მეფემ, ალექსანდრე მეორემ, შეაუღლა ქეთევანი ცოლად უფროსსა შჳლისა თჳსსა დავითის, რომელმაც წაართო მამასათჳსსა სახემწიფო და შეიპყრა ციხეში. მალით მიტაცებულმან მეფობამ დავითისამან დაჰყო არა დიდხანს. მოთხრობისამებრ ვახუშტისა, მეფობდა იგი ექვსი თთვე. თანახმად ამისა გვიწერს მეფე თეიმურაზ პირველიცა, ძე თჳთ დავითისი. შემდეგ დავითის სიკვდილისა, რო-მელსაც დაჰშთა მცირე მწლოვანი შჳლი თეიმურაზ (უკანასკნელი ნუგეში და სიყვარული ქეთევანისა) აღვიდა მეორედ სამეფო ტახტზედ მამაპე მისი, ალექსანდრე მეორე და მან, დასაცუჱლად საქართ-ჳჱლოსა სპარსთაგან, გაგზავნა, ჩემო ხსენებული, შჳლის შჳლი თჳსი თეიმურაზ სპარსეთში-შაჰაბაზ დიდთან, დასამტკიცებლად სიყუარულისა და მორ-ჩილებისა თჳსისა. მზაკუჱრი შაჰაბაზ არ ერწმუნებოდა ალექსანდრეს მორჩილებას, რადგანაც ალექსანდრეს აქუნდა მიწერ მოწერა რუსეთის მფლობელთან და ამისთჳს გამოგზავნა შჳლი მისი კონსტანტინე, მყოფი მაშინ სპარსეთში, სადაცა მიეღოცა მათი სარწმუნოება, რათა მოეკლა მამა თჳსი და ძმა

გიორგი, ასეთი იყო სამეფო ტახტზედ და მიექცია ქართუელნი მაჰმადის სარწმუნოებაზედ. კონსტანტინემ ეს საშინელი ნება შაჰაბაზისა აღასრულა, წინაშე რუსეთის ელჩის ტატიშჩევისა. (ა) მოჰკლა მამა თჳსი ალექსანდრე, ძმა გიორგი და არხიეპისკოპოზი რუსთველი, რომელი ექადოდა მას საუკუნო შეჩუენებითა მამის სიკუდილისა და სხჳსა ბოროტ მოქმედებისათჳს მისისა. —

მოსვლის დროს კონსტანტინესა და სამეფოს მიღებისა ქეთევან დედოფალი იმყოფებოდა ქართლში, სამშობლოსთან. კონსტანტინეს ესრეთმა ქცევამან, მამის მკვლელობამან, შესძრა მრთელი კახეთი, რომელიც მოელოდა დიდ დღეზედ უბედურებასა და უბატრონობასა თჳსსა ტირილი და გლოვა ისმოდა ყოველგან. კახელთ აქუნდათ მხოლოთ ერთი ნუგეში, მიემართათ მღჳერის მოშიშისა ქეთევან დედოფლისათჳს, რათა მას მხოლოსა მოეღო ღონის ძიება ამ საშინელ და საზარელ მდგომარეობისათჳს და დაეხსნა მწიკულოვანებისაგან ეკკლესია ქრისტესი და მემამულენი თჳსნი-ქართუელნი მხეცურებლად ეკკლესიისა და მამულისა განმჴადებულმან, სარწმუნოების სიმხნით აღკაზმულმან მიიღო წინა მძღოლობა კახელებისა, დაამარცხეს მტაცებელი ტახტისა კონსტანტინე, უგმირეს ლახვარი და მოჰკვეთეს თავი.

ესრეთმა ქცევამ ქეთევანისამან, რომლითაც მიიღო

(ა) იხ. Истор. Государ. Рос. т. X. ст. 63.

მფლობელობა კახეთისა, (ა) შეაშინა სპარსეთის მფლობელი შაჰაბაზ და რათამცა არ მიეღო მრთელსა საქართველოსა მასთან ბრძოლა, რომლისაცა ღირსი იყო, გამოუგზავნა მას, ქეთევანს, შვილი თეიმურაზი, რომელიც იყო გაგზავნილი, როგორათაც ზემოთ ვსთქვთ, მეფე ალექსანდრე მეორისაგან. ქეთევან დედოფალი აღივსო მისის ნახვით სიხარულითა დიდითა და წესისამებრ მათ მადიდებელთ ეკლესიისა თეიმურაზი დაჰგვირგვინდა ბოდბის ეკლესიაში, 1605 სა წელსა, და აღვიდა სამეფო ტახტზედ, მეთექვსმეტე წლისა შობიდგან.

შემდეგ ამისა იწყო მართლად ბრწყინვალემ ცხოვრებამ ქეთევანისამან. შვილსა მისსა თეიმურაზს შეემლო თვით განგება სახელმწიფოისა. მზრუნველობა ქეთევანისა საქართველოსათვის იყო მხოლოდ განმშვენიერებასა ზედა მონასტერთა და ეკლესიათა, რომლისადმი ჰქონდა მას ვითარიმე უხილავი ბუნებითი მიდრეკილება და რომელთა შინა ჰპოვებდა თჳსსა საკუთარსა ცხოვრებასა, ნუგეშსა და ნეტარებასა. ქვრივნი და ობოლნი, გლახაკნი და სნეულნი მოვიდოდიან მასთან ჯითა დღესთან და ჰქონდათ მისგან დედობრივი მზრუნველობა და პატრონობა, და იყო მათთვის ჭეშმარიტად წყარო ყოვლისა ნუგეშისა. სახელი მისი მრთელ საქართველოში შეიქმნა განთქმულ. მაგრამ ეს არ იყო მისთვის საკმაოდ. ღვაწლი მის იყო მსგავსად

(ა) მაშინ იყო 31 ს წლისა.

ღვაწლისა წმინდისა მოწამისა ივლიტასსი. (ა) მან უნდა აღესრულებინა ღვაწლი წინაშე ქუეყნისა, ღვაწლი ფრიად მამაცური და წინა-აღმდეგი დედობრივისა ბუნებისა, რომელიცა უნდა შექმნილ იყო განსაკვირვებელად არათუ ჩუენთჳს, არამედ თჳთ პირდა პირ მდგომარეთათჳს აღსრულების დროს ღვაწლისა მისისა, ვინაიდგან დიდებულსა სულსა მისსა სრულებით უნდა დაეფარა უძლურება ბუნებისა და მით უმეტესად დაეცა მადლით წინა-აღმდეგი ქრისტეს ჰსჯულისა, რომელსაცა საკიცხავად ჰსჩნდა მძლევა დედაკაცისაგან — ბუნებით უძლურისა. «უძლური იგი ღმრთისა, უძლიერეს კაცთა არს.»

საქართველოს, როგორათაცა მოგვითხრობს ისტორია, ჰქონდა იმ დროს მიწერ მოწერა რუსეთთან. ამ გვარმა მოქმედობამ საქართველოისამან აღძრა მეორეთ შაჰაბაზ და მოვიდა, 1615 წელსა, ფრიად განმძვინვებული, სპითა დიდითა. მოაწია რა განჯას (ელისავეტ პოლს.) მოსთხოვა მან თეიმურაზის შვილი მძევლად, დასამტკიცებელად მორჩილებისა საქართველოისა. ალექსანდრე, უხუცესი შვილი, და დედა თეიმურაზისა ქეთევან, რომელსაცა შვილი შვილის მოშორება არ შეეძლო, იყვნენ გაგზავნილნი შაჰაბაზთან. მაგრამ იგი არ დასჯერდა ესრეთსა მსხვერპლსა, თეიმურაზისაგან შეწირულსა,

(ა) წმინდა მოწამე ესე ცხოვრებდა IV საუკუნოში. წ. ეკკლესია ხსენებასა მისსა დღესასწაულობს 31 ივლისს

მან განიმრახა მოათხოვა მეორის შვილისა-ლეონისა, რომელიცა იქმნა ეგრეთვე გაგზავნილ, თუმცა თეიმურაზ მიეცა ფრიად დიდსა მწუხარებას,. აჰ მაგალითი მამულის სიყვარულისა! განა რაგვარი მწუხარებამ უნდა ყოფილ იყო გულსა შინა მეფის თეიმურაზისა ოდეს ესმა ახლად საშინელი თხოვნა შაჰბაზისა, რომლითაცა საქართველო შეიქმნებოდა უპატრონოდ და მაშასადამე წარდგნილ მაჰმადიანთაგან? ეს იყო დაბარება შაჰბაზისაგან თჳთ თეიმურაზისა. ამბავი ესე განხდა მრთელ საქართველოში. ტირილი და გლოვა, წუხილი და ღაღადება ისმოდა ყოველგან. თეიმურაზმა შეჰკრიბა ყოველნი მოხუცნი და დარბაზისერნი, რომელთათჳს ესრეთი მდგომარეობა საქართველოჲსა იყო დიდათ საგრძნობელი, და მათ დასდვეს უარის ყოფა ზემო ხსენებულის თხოვნისა და განემზადნენ წინა — აღმდეგობისთჳს მტერისა, რომელიცა მოწევნილ იქმნებოდა წინამძღვანველობითა მამულის მოღალატისა გიორგი სააკაძე თარხან მოურავისათა. ესრეთმა ურჩებამან თეიმურაზისა და საქართველოჲსამან უმეტესად განარისხა შაჰბაზ და ამისთჳს დედა და შვილნი თეიმურაზისანი ლეონ და ალექსანდრე წარგზავნილ იქმნენ განჯიდამ პატიმრად ა შ რ ა ფ ი ს საპყრობილეში და თჳთ წამოვიდა სპითა დიდითა საქართველოზედ, რომლის მოწყვედასა ექადდა, როგორაცა გვიწერს

დიმიტრი ბაგრატიონი. «ისტორიითა მეფეთა მეფე-ხითა.» (ა)

მეფეთა: თეიმურაზ და ლუარსაბმა (ბ) თუმცა მიიღეს ყოველი ღონის ძიება დაცვისა საქართველოისა, წინაშე შაჰაბაზისა, მაგრამ დაშთნენ სრულებით ამაოდ, უმეტესად მაშინ ოდეს აღმოჩნდნენ წინა-აღმდეგნი მათნი თჳთ საქართველოს შჳლნიცა. ესენი, რომელთაცა გვიწერს ვახუშტი, იყვნენ: ნ უ გ ზ ა რ  ა რ ა გ ვ ი ს  ე რ ი ს თ ა ვ ი, ი ს ე  ქ ს ნ ი ს  ე რ ი ს თ ა ვ ი, ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ  ა მ ი-ლ ა ხ ვ ა რ ი, ფ ა რ შ ა ნ გ  ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ჳ ლ ი  და  ა ვ თ ა ნ დ ი ლ  ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. შემდეგ ამისა წინა-აღმდეგობა შაჰაბაზისა მეფეთა ჩუენთა აღარ შეეძლოთ და დიდის მწუხარებითა დაუტევეს მათ საქართველო და. დასაცველად ცხოვრებისა და ტყუეობისა თჳსისა, მიმართეს იმერეთის მეფეს გიორგი-მესამეს, რომელმან მიიღო იგინი დიდის პატივითა, საქართველო შეიქმნა სრულებით უპატრონო. შაჰაბაზ მძვინვარედ მოვიდა კახეთს, დაიპყრა იგი და დააყენნა იქ განმგებელად თავადნი: ნ ო დ ა რ  ჯ ო რ ჯ ა ძ ე  და  დ ა ვ ი თ  ა ს ლ ა ნ ი შ ჳ ლ ი, რომელთა განუცხადეს მას მორჩილება თჳსი.

---

(ა) იხ. წამება ქეთევან დედოფლისა, თქმული ლე-ქსად დიმიტრი ბაგრატიონისა მიერ.

(ბ) ლუარსაბი იყო მეფე ქართლისა, ხოლო თეიმურაზ კახეთისა.

შემდეგ წამოვიდა ქართლიზედ, განვლო მდინარე არაგვი და, მსწრაფლად ელვისა, ავიდა ქ. გორს. ესრეთ საქართველო შეიქმნა მსხვერპლად მაჰმაზისა; წმინდანი ეკკლესიანი და მონასტერნი აოხრა; მთანი და ველნი შეღებნა სისხლით ქართველთათა და მრავალნი მათგანნი წაიყვანა ტყვედ. —

«მოვიდა ლაშქრით მოსწყვიდეს, მრავალნი დედა
წულები,
«მამანი ლაშქრით რჩეულნი, ბრძოლათა მონახულები;
«სხვანი წაასხეს პატიმრად, ხელკრულნი დაბაწ-
რულები,
«უმწარეს ბაბილოვნელთა სტიროდენ წარტყვე-
ვნილები.» (ა)

მღჳთის მტერი შაჰბაზ მიეცა ესრეთის ქცევით დიდსა შუებასა და დიდისა სიხარულითა წავიდა სპარსეთში, სადაცა განიმზრახა მიღება სასტიკის მოქმედებისა ქეთევან და მის შვილი შვილთაზედა. პატრუკელი გაიტყუვრა პატიმრად შირაზის საპყრობილეში და მორჩილებლობისაგამო მეფისა თეიმურაზისაგან სულთანისადმი, რომლისაგან ითხოვდა შემწეობასა წინაშე სპარსთა, და უმეტესად სიყვარულისა გამო ქეთევანისა თჳს სარწმუნოებისა, უბრძანა წამება მისი, უკეთუ არ მიიღებს მაჰმადის

(ა) იხ. წამება ქეთევან დედოფლისა, თქმული დიმიტრი ბაგრატოვანისა მიერ.

სარწმუნოებასათ; ხოლო მეთათჳს მეფისა ბრძანა დასაჯურისება, 1620 წელსა, რომელთა იცოცხლეს შემდეგ ამისა მცირედი ხანი. ერთი მათგანი აღსრულდა მაშინვე, ხოლო მეორე შემდეგ სამისა წლისა. მათზედ მწუხარებასა ქეთევანისასა მოგვითხრობს დიმიტრი ბაგრატოვანი ესრეთ:

«მუნ დაჰყო ხანი ქეთევან, ქვნესით, სულთქმით და ვაებით,
«შჳლის შჳლთ სიკვდილს შეესწრო, მათგან უწყალოს ზვავებით;
«მისთჳს დაბნელდა ქჳეყანა, მზე შეიმოსა შავებით,
«მაშინცა არ დაცხრა შაჰბაზ, გულითა განაქვავებით.

«მოსთქუამს: რა გლხვჰყო უთქუმნოდ, სულთა უტკბესნო შჳლებო,
«ჩემგან სათუთად ნაზარდნო, ჯერ ისევ ურმანო ჩჳლებო;
«ვარდნო კოკობნო უშლელნო, ზამბახნო გაუფუჩვნილებო,
«სიკვდილის ცელით კნეთილნო, უჟამოდ გარდაცვლილებო.

«ჩემნო შჳცნისა წალკოტნო, ალექსანდრე და ლევანო,
«სარო და ნაძო ნანორჩნო, ახალნო ნერგთა პევანო,
«იერიქულნო ვარდებნო, პალესტინისა მტევანო.
«უთქვენოთ საწულად სულდგმულმან, ვითადა ვიქეთევანო?

«ჯვარჩულან ჯვართა დართული, საცოცხლე გამ-
წარგვნილი;
«მიწყივ ტირილის ხმით იტყვის, იგ ნუგეშ და-
ვირებული;
«არ ახლდენ ბანოვანები, არცა სამღვდელოთ კრე-
ბული,
«ეოქესთ რამ გულის სადგები, ნუ ხარ აგრე
შეჰული.» (ა)

ქეთევან დედოფალი ჰყვდა ზემო ხსენებულ სპარსეთის ქალაქს შ ი რ ა ზ ს, სადაცა მხოლოდ დოცვაში ჰპოვებდა ნუგეშსა და დღე დღეზედ მოელოდა განკარგულებასა, ბალნ მაჰმადის ძოსაკის შაჰბაზსავან. შაჰბაზმა, შეპყრობილმან ეშმაკის საცთურისავან, უკანასკნელ განიზრახა წამება ქეთევანისა, უკეთუ არ იწამებს ჩუცნისა სჯულსაო, ზეცით მოვლინებულ მაჰმადისასაო. აღსრულდება ამა საშინელისა ნებისა თჳსისა მიანდო შირაზის ხანს ი მ ა მ ყ უ ლ ს, რომელმან თუმცა მიიღო დიდი ოქროის მიება და უჩრჩევდა ქეთევანს უარი ეყო ქრისტეს სარწმუნოებისათჳს და აშინებდა ამასთანავე შაჰბაზის მრისხანებითა, მაგრამ სარწმუნოება მისი ვერ შეარყიეს, სარწმუნოება რომლითა უკეთუ «რ ქ უ ა თ მ თ ა ს ა ა მ ა ს მ ი ი ც ვ ა ლ ე ა მ ი ე რ ი ქ ა და მ ი ი ც ვ ა ლ ო ს.» მისცა თავი თჳსი, როგორათაც გვიწერს ანტონი კათოლიკოზი,

(ა) იხ. ზემოთ ხსენებული სხოლიო.

ქრისტესთჳს სასტიკთა ტანჯვათა დიდითარე ტრფიალებითა და უშიშითა გონებითა, ვითარცა ლომმან. მაშინ, ულმრთოთა მათ მტარვალთა მეფისათა აღაგზნეს წინაშე მისსა ცეცხლი, და მოიხვნეს შამფურნი, და მარწუხნი, და ბარი მჭედლისა საბარველი და გვირგვინი რაჲმე რვალისა, და ნაკვეთებული რეცა სიავისა სახედ და განახურვეს თუალთა წინაშე წმინდისათა, და დასხნეს კელნი, ყოვლად ბილწთა მათ, ყოვლად წმინდასა მას ტარიგსა ქრისტესსა, და განაშიშვლეს იგი, და განშალეს ქუშე მისსა ნაკვერცხალთა სიმრავლენი, და მას ზედა განართხეს წმინდა იგი, და იწყეს განურად მუმუთა და ხორცთა წმინდისათა განხურვებულთა მათ შამფურთა, და მარწუხთა-მიერ განხურვებულთა დახლიჩნეს მუმუნი, და ყოველნი კორცნი წმინდისანი, ვიდრემდის დაშიშვლდეს მკალნი მისნი, და დაადგეს თავსა მისსა განხურვებული იგი სიავი რვალისა, და უკანასკნელ განხურვებული იგი ბარი დასდუეს ყოვლად უბიწოსა გულსა ზედან. და ესრეთ დაიკმა გუნდრუკი იგი მრავალ სუნნელი.» (ა) იგი აღსრულდა ესრეთისა სახითა 1624 წელსა სეკტემბრის 13 დღესა, ორმოცდა თერთმეტის წლისა შობითგან.

წმინდა ქეთევან დედოფალსა თანა ჰყვანდა ორნი ვინმე ხუცესნი, რომელთათანა ნეტარი იგი ატარებდა ღრმისა ლოცვასა და სამღრთო წიგნთ კითხვასა შინა წვალებადმდე. ერთი, მათგანი, სახელით რომლისა

(ა) იხ. სჳნაქსარი.

არსად იგი იხსენება, შეიქმნა ჰატივის მცემელ მაჰმადის სარწმუნოებისა; ხოლო მერე სავსე, მგზავსად ქეთევანისა, სასოებითა ქრისტესისა, ღირს იქმნა მოწამისა ღვაწლითასა და ქრისტესთჳს მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. სახელი ამა მღჳთისა და ქრისტეს მოწამისა იყო ვ ა ს ი ლ ი. —

შემდეგ სიკუდილისა ქრისტეს მოწამისა ქეთევანისა, რომელთამე ქრისტიანეთა სპარსეთისათა შეჰკრიბეს წმინდანი ნაწილნი მისნი და დაჰფლეს, დიდის ჰატივის-ცემითა, ეკკლესიასა შინა, ქეთევანის მიერ აღშენე-ბულსა ქალაქსა შ ი რ ა ზ ს. ნათელი ზეცით გამო-ჩენილი წ. ნაწილთა ზედა იყო მიზეზად შეკრებისა მათისა. შემდეგ რაოდენიმე ხანისა, რომელთაც მოჰგვითხრობს ანტონი, მოვიდნენ მეფე თეიმურაზთან ვინმე ლათინელთაგანნი ხუცესმონაზონნი, მყოფნი ქალაქს შ ი რ ა ზ ს წვალებისა დროსა, რომელთა წარმოჰყვრათ გვამი წმინდისა და განუყოთ იგი ორად, და კერძოჲ ერი, (ა) რომლისათანა იყო თავიცა, წარგზავნეს არმანაკითა (ტილოთი:) წმინდითა და მრავლითა სუნნელითა შემურეს იგი და დიდითა ჰატივითა, ვითარცა ქრისტეს მოწამე, წარმოიღეს საქართველოდ, და მიართუეს მესა მისსა მეფეს თეიმურაზს, რომელმან დიდითა ლიტონითა წარიღო

(ა) მეორე კერძოჲ გუამისა წ. მის მოწამისა წარიღეს ლათინელთა მათ ხუცესმონაზონთა ქუეყ-ანად თჳსად და აქამომდე არის ბ ე ლ გ ი ი ს ქა-ლაქს ნ ა მ უ რ შ ი.

ალექსანდრეს, სადაცა კათოლიკოზმა ზაქარიამ, თანა დასწრებითა სამღვდელო კრებისა, დაჰკრძალეს ქვეშე სამღთოისა ტრაპეზისა ალავერდის სობოროჲსა.

ეკკლესია ქართუელთა დღესასწაულობს წამებასა ქეთევან დედოფლისასა სეკტემბრის 31 დღესა, რომელსაცა შინა იქმნა წამება და გარდაცვალება მისი.

დიდება მისი არა წარჰხდეს. გვამმა მისმა მშვიდობით განისუენოს. სახელი მისი ჰგიებდეს ნათესავით ნათესავად. სიბრძნესა მისსა აუწყებდნენ ერნი და ქებასა მისსა ჰქადაგებდეს ეკკლესია(*)

ალ. სავანელი.

ქ. თფილისს.

(*) იხ. წიგ. ისო ზირა. 44. 12—14:

# ცოდნისათჳს განჯაფისა. (*)

(თ. ნიკოლოზ დიმიტრის ძეს ჭავჭავაძეს ვუძღვნი.)

რედ. კერ.

1. განჯაფა არის ჴელი რვა: პირველი არის ყა-ზილი, რომლისაცა ბატონს უწოდებენ ალთაფი, და ამის პირველობის ცნობის ნიშანი არის მზე ლომსა ზედა. მეორე არის ყუმაში, მესამე არის ბარათი,

(*) საქართველოში ვიდრე მეფობადმდე ირაკლი II; ნაცვლად სათამაშო ქაღალდებისა, უხმარიათ მა-თივე მზგავსი ძველის ფირფიტები, რომელნიცა მხატრობითა თჳსითა წარმოუდგენენ მოთამაშეთა სხუა და სხუათა მნიშვნელობათა და რომელსაცა ჰსწოდებია «განჯაფა.» ეს ფირფიტები გვქონდა რედაქციაში, გარნა ვერას გზით ვერ მივხვდით, თუ ვითა ჰქონიათ ხმარებაში ძველ დროს. ჟამსა მოგზაურობისა ჩემისასა ამა წელს, ვიმყოფებოდი რა ჩუენის თანმედროვეს მწერლის თ. დავით ციციშვი-ლის სახლში ს. ქარელს, სადაცა მაჩუენა თავისნი მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი, მათ შორის ვპოვე აღწერა ზემო ხსენებულის განჯაფისა, რო-მელსაცა ვბეჭდავთ ჩუენს ჟურნალში დარწმუნებითა მით, რომ ჩუენის «ცისკრის» მკითხველნი მიიღებენ სასიამოვნოდ. რედ. გ.

მეოთხე არის ჩანგი, მეხუთე არის კრმალი, მეექუსე არის თაჯი, მეშჳდე არის ალაღჩი და მერვე ყარაჯი.

აღრიცხულთა ამათ თჳთოეულთა კელთა შინა არიან ჯარაყნი თორმეტ-თორმეტნი, და თჳთოს კელის თორმეტს ჯარაყში პირველი არის ბატონი, რომელიცა განირჩევა ქოლგის დახურვით, და მეორე არის ვეზირი. ხოლო ორნივე ესე არიან ცხენოსანნი, ჩემოთ თქმულს ალთაჲს გარდა, და ალთაჲსაცა ჰყავს ვეზირი ცხენოსანივე.

არამედ შჳდთა ამათ ბატონთა, ცხენოსანთა და ქოლგიანთა, და რვათა ვეზირთა აქუსთ განრჩევა ურთმანეთისაგან ესრეთ: ალთაჲს ვეზირს აქუს ყიზილი, ყუმაშის ბატონსა და ვეზირსა აქუსთ ყუმაში, ბარათის ბატონსა და ვეზირსა აქუსთ ბარათი, ეგრეთვე ჩანგის ბატონსა და ვეზირსა ჩანგი, კრმლის ბატონსა და ვეზირსა კრმალი, თაჯის ბატონსა და ვეზირსა თაჯი, ალაღჩის ბატონსა და ვეზირსა ეგრეთვე ალაღჩი, ყარაჯის ბატონსა და ვეზირსა სიშავე.

## განყოფისათჳს განჯავისა.

2. განჯავაჲ განიყოფების მაშინ ჰსწორედ და რიგზედ რჳა კელად თუ თამაშობენ სამნი, და ამათში მდებარის განჯავისაგან აღიღებს ერთი მათგანი სამსა ჯარაყსა, ერთსა თჳთონ იპყრობს და ორს თავისთან მსხდომარეთ მისცემს, და რომლისაც უმჯობესი ჯარაყი იქმნება გაყოფა იმას ერგება, და მარჯვნივ

მჯდომარე გარდაუჭრის მას, რომლისაგანაცა იწყე-
ბის დარიგება და განყოფა, ესრეთ: მისცემს მარჯვნივ
მჯდომარესა ოთხსა ვარაუსა, და ეგრეთვე შემდგომით
შემდგომად, არიგებს ოთხ ოთხსავე დასრულებამდე
განყოფისა, მაგრამ განყოფასა ამას შინა დამრი-
გებელი ესე პირველსა და დასასრულს დარიგებაში
უჩვენს პირს ვარაუსა, და ამათ საშუალ დაფარვით
განუყოფს, და განყოფილი ესე განჯაფა სულერთო-
ბით არის ვარაუ თვითოეული ოთხმოც და ათექვს-
მეტი, და რიცხვისა ამისგან სამთა მოთამაშეთა ერ-
გების ვარაუ თვითოს და თვითოსა ოცდა თორმეტ
თორმეტი.

## დაწყობისათჳს განჯაფისა.

3. თვითო და თვითო მოთამაშე სამნივ დააწყობენ
თავიანთ განჯაფას, ანუ ვარაუსა, რომელიცა ჰრიგებიათ
ესრეთ: პირუკუღმად დასდებენ ბატონს, და ამასთან
თავისავე ვეზირს, მაგრამ დაწყობაში უნდა იცოდეს
მოთამაშემ, რომ რვა ჴელი, რომელიცა ზემოთ
განჯაფის ცნობაში აღვრიცხეთ, ამა ოთხისა ცოტა
ჰსჯობს, და ოთხისა ბევრი: ყიზილისა, ყუმა-
შისა, ბარათისა და ჩანგისა ჰსჯობს ცოტა. ეს ასე
უნდა დაიწყოს: ბატონთან ხომ ვეზირი იქმნება, და
ვეზირთან იაქე, იაქესთან ორი, და ორთან სამი,
ეგრეთვე შემდგომისა შემდგომი ვიდრე ათამდე.
ეგრეთვე ამის შემდგომისა ოთხისა ჰსჯობს ბევრი:
კრმლისა, თაჯისა, აღაღჩისა და ყარაჯისა, და ეს;

ასე უნდა დაიწყოს: ბატონის შემდგომს ვეზირთან უნდა იყოს, ათი, ათთან ცხრა, და ცხრასთან რჳა. და ასე ერთმანეთთან გარიგებით, და დაწყობით უნდა იყოს ვიდრე იაქემდე

## გამორჩევისათჳს ხარჯისა.

4. ხარჯი ასე უნდა გამოარჩიოს მოთამაშემ, რომ ყიზილისა, ყუმაშისა, ბარათისა და ჩანგისა, რადგანაც ცოტა ჰსჯობს, ცოტა უნდა შეინახოს, ბევრი კარჯში მისცეს: ხოლო კრმლისა, თაჯისა აღაღჩისა, ყარაჯისა, რომ ბევრი ჰსჯობს, ცოტა კარჯში უნდა მისცეს და ბევრი შეინახოს.

## თამაშობისათჳს განჯავისა.

5. სამს მოთამაშეში, რომელსაც პირუწლი ბატონის ალთაფი ერგება ის ითამაშებს პირუწლად, და ამ ალთაფის ვარაყს გარდმოაგდებს, და ერთს სხჳას ყიზილის ვარაყს მოთიჳელ თანავე გამოატანს, რომელიც ბევრი იქმნება ყიზილის ვარაყში იმას, და მაშინ მოსცემენ ორნი თანა-მოთამაშენი ოროლს ვარაყს ხარჯად: კიდევ ისევ ითამაშებს, ასე რომ თავის ვარაყებს გაშინჯავს, თუ ბატონი და ვეზირი ერთის კელისა ორივ ერთად ჰყავს, ბატონს ათამაშებს, და თანა მოთამაშეებთაგან ხარჯსა აიღებს.

თუ ვეზირი ჰყავს და ბატონი არა ჰყავს, და სხჳას ჰრგებია, იმის ასნაფიდამ ერთს უქჳწმოესს

ვარაყს გადმოაგდებს, და ბატონს გამოითხოვს სათამაშოდ, და მერმე ვისაც ბატონი ჰყავს ათამაშებს და ჴარჯს ის წაიღებს; ამას ეწოდების აღჴსნა თავისა.

სამს მოთამაშეში, რომელიც მარჯვნივ უზის, ერთმანეთის მოთიჯენი არიან, თუ თავისი მოთიჯე არის, რომელიც ითამაშებს, და ბატონს გადმოაგდებს თიჯით მოვა, და ისე დაჰკრავს, თუ მოთიჯე არარის მარტო ბატონს ათამაშებს, და თუნდა მოთიჯე არ იყოს იმაზედაც მივა თიჯით, თუ მეორისაგან წართმევისა არ ეშინიან, და თუ ან ათი და ან იქმ ჰყავს იმავე ბატონისა, მაშინ შეუშინებელად მივა თიჯით, და სამნივ ასე ზემო დაწერილს რიგზედ ითამაშებენ: აგრეთვე კიდევ იქმ ჰყავს და ვეზირი არა, მაშინ ვეზირს გამოითხოვს სათამაშოდ და იმას აუხსნის თავსა. მაშინ ვისაც ჰყავს იმის ვეზირი გადმოაგდებს და წაიღებს ხარჯს; ესრეთვე უპირატესს ასნაჭებსაც აუხსნიან თავს ერთმანეთში და ითამაშებენ.

რომელიც თავის კელში დაჰკედავს რომ თავის ასაკსნელი აღარ ექოლება, მაშინ რაც სათამაშოები ექნება ყველას ათამაშებს, და ამას ჰქვიან კელის გამოსვლა: ამ დროს ცხენიანებს გადმოყრის და ხარჯს აიღებს, და ცხენიანებს რომ გაათავებს მას უკან ვარაყის გადმოგდებაში იტყვის «ბაიაღ თუ ბაიაღი იყოსო? ბაიაღი ეს არის, რომ სხვას იმაზედ უკეთესი იმასნაჭის ვარაყი არ ჰქონდეს, ამასაც ამიტომ იტყჳს თუ ეს არა თქვა, ვისაც

იმაზედ მჯობი გვარაჲ ექმნება დაჭკრავს და წაი-ღებს.

ზაიღებს რომ გაათავებს და აღარ ეყოლება, მერმე ჴელს გარდაჭკვრენ, ჴელის გარდაკრჳა ეს არის, რაც გვარაჲები ექმნება თჳთოსა და თჳთოს არევენ თავიანთ ჴელში.

მაშინ რომელიც მარჯვნივ უზის გამოსთხოვს ისი მერამდენეც გვარაჲ ექმნება და რომ მოსცემს მერმე რომელსაც იმაზედ უმჯობესი იმისავე ასნაჲის გვარაჲ ექმნება, დაჭკრავს და ის წაიღებს: მერე ეგრე ეს გამოვა ჴელს და ითამაშებს ზაიღებს: ზაიღები რომ გათავდება ისიც გარდაჭკრავს ჴელს, და თავის მარჯვნივ მჯდომი იმასაც გამოსთხოვს გვარაჲს, და რომ მოსცემს, მაშინ რომელსაც უმჯობესი გვარაჲ აქუს იმისავე ასნაჲისა დაჭკრავს, და წაიღებს; ვიდრე დასასრულამდე ერთმანეთთან ასე ითამაშებენ:

თუ ოთხი და ან უფრო ცოტა გვარაჲ არის დარჩომილი ჴელს აღარ გარდაჭკრჳენ. ის შეჰკრის, რომელიც ერთი მათგანი გვარაჲ ხირ გამოჩენით ექმნება, და ან ხირ გამოუჩენლად, მაშინ ვისაც იმისი გვარაჲ ექმნება უმჯობესი დაჭკრავს, და ის წაიღებს და ესრეთ დაასრულებენ თამაშობას.

## სალაყბო ფურცელი.

ცისკრის წარსულს ნომერში სად დავსხედით? აღარ მახსოვს! საზოგადოდ ქართული თჳსება ეს გახლავსთ. ჰო, დიახ, მგონია იქ დავსხედით, სადაც

განზობლი, უჰ: ძალიან დავიღალე, ჯერ ეს საკმაო არის მეთქი. თქუენ იქმნება გეგონოთ ლაპარაკით დავიღალე, ესე იგი, წერით! არა, მოწყსა ბრძანდებით ამა აზრითგან, არცა წერით დავღალულვარ და არცა ლაპარაკით. გულს მოსულს კაცს რა მოღალავს. მე დავიღალე რა წარმომიდგა ეს საშინელება, რომ ჩუენის თავის უბედურს მდგომარეობაში ყოფნის მიზეზნი ვართ თჳთან ჩუენვე! კაცი თავის თავსა თჳთონა მტერობდეს!!! არა თუ ღმერთი გრწამსთ ამაზედ უსაშინელესება გაგონილა სადმე?... ღუთის გულისათჳს, უპირმოთნეობით მიპასუხეთ და გულწრფელობით! მაგრამ ვის ვსთხოვ გულწრფელობასა. შევიყრებით ერთს სახლში ჩუენ გულწრფელნი რამდენიმე ქართუელნი, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, ვჭიუჭიებთ, ეშმაკმა იცის რაზედ? და სრულებით ჩუენის ლაპარაკითგან არა გამოდისრა! ვითომც საზოგადოდ, კეთილი რამ გავაკეთოთ, გავარიგოთ, მოვსცეთ ნაყოფი რამე კეთილი! ღმერთმა დაგიფარისთ! ღმერთსა ჩუენთჳს მოუცია ნიჭი მხოლოდ ლაპარაკში! აი, ბატონი ბრძანდებით, დავსხდეთ, მოვიყეცოთ ქართულურად და ვილაპარაკოთ, ვნახოთ რა გამოვა? ჩუენი საქმე როგორ წავა წინ? ცისკრებისას თუ ბრძანებთ წავიკითხოთ, აქამდინ რომ არა წაგვიკითხავსრა, ახლა რაღას წაიკითხავთ. უკაცრავად კი თუ ვიქნებით და, ჩუენს ცისკარს უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, რა რომ თავისუფლად განისვენებენ ფანჯარებში, მოსამსახურეების ოთახში, იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში

შეცვანა როგორათ იქმნება — ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი, სხვათა ენაზედ რომ იყოს, ეი, ის სხვა არის! ჩუენს ენას ახლა აღარავინა ხმარობს, წამხდარი ენა არის, გასწორდება რათ უნდა, სახლის პატრონმა, თავს რომ ჭერი ემცემოდეს, ძელი უნდა გამოიცვალოს და გაისხლოს! ამასთანავე ჩუენი ქართული ენა მოდად აღარ გვახლავსთ, ადრე მართალია დიდს პატივში იყო ჩუენი ენა, ისიც მაშინ, როდესაც რომ დაპარავობდნენ ქართულს ენაზედ მხოლოდ დიდმითვან დაწყებული, ვიდრე ტფილისის აბანოებამდინ (ეს უკანასკნელი სიტყვები თუ მოიხსენობეთ ნათქვამი გახლავსთ ერთის ქართველისაგან, რომელსაცა ჩუენდა სამწუხაროდ ზოგნი ურინი ქართველნი ბრძენად სახავენ! .. ეგი ბრძნული სიტყვა ჭეშმარიტათ!!! ) აი ჩემო საყვარელო წარმკითხველო, როგორს როლს თამაშობს ჩუენი ქართული ენა ახლანდელს დროში. — რადგანაც ვახსენე ახლანდელი დრო, უნდა კიდეც განვიმარტოთ ახლანდელის დროს მნიშვნელობა: როგორაც წარსულს ცისკრის ნომერში, აგრეთვე ახლა ვახსენებ, ჩუენ საზოგადოდ უბედურებასა, და ეს კი არ ვიცი, რას ემახით საზოგადოდ უბედურებას? უბედურება კიარა და, ამისთანას ბედნიერს მდგომარეობაში, თავის დღეშიაც არა ვყოფილვართ, ჩუენის დიდის ჴელმწიფის და საზოგადო მამის წყალობითა. ბარეველი აქედგან ავიღოთ: აბა რომელი მტერი აწუხებს ჩუენს მყუდროებით მდგომარეობასა? აბა რომელი ბარბაროსი მაჭმადიანი ატყვევებს ჩუენს ცოლს, გინა შვილს,

განა ნათესავს და სხვ. მსგავსად აღრინდელის ქართველთ მეფობის დროებისა, რომელშიაც კაცი არ იყო რომ გადარჩენოდა ამისთანა უსაშინელესს ხვედრსა, თითქმის ყოველი კაცი მტერს უნდებოდა და თავის ტყვეებს უკანა სდევდა, ან სწავლისთვის ვისა სცალოდა, ან წერისათვის, ან სახლისა და ან კარისათვის? ხომ ამისთანას შეჭირვებაში იყო საქართველო, მაგრამ მაინც ჩვენი ლიტერატურა არ დაცემულა, ვერა რომელმან ხრმალმან ვერ მოჰკვეთა აღყვავება და წარმატება მისი! ახლა? ახლა ის, როგორც ზემოთ ვსთქვ, რომ ამისთანას მშვიდრობებით მდგომარეობაშია ვართ, მტერი ვერა ჰბედავს ჩვენს შეიწროებასა, ვინაჲთგან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა, სწავლა ჰყვავის უსიტყვოესის ნაყოფითა, გარნა თან და თან მიეცემის სისუსტესა, ჩვენის დაუდევნელობით ჩვენი ენა, რომლისათვისაც ცდილობს უმაღლესი ჩვენი მთავრობა, გვაძლევს ყოველისავე შემწეობასა და არარას ზოგავს ჩვენთვის, ჩვენის კეთილ მდგომარეობისათვის. ამისთანას მშვიდრო მდგომარეობაში, კაცს არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება! უბედურება არ არის მაშ რა არის? არა რომელი ბედნიერება არის? მე უბედურება მგონია ესა და! არა თუ უბედურება, უბედურებაზედ უბედურებაა!! მაგრამ რა, ვის ველაპარაკები უბედურებაზედ, განა იმდენი მხურვალება გვაქვს გულში, რომ ვიგრძნოთ უბედურება?! ჩვენის უბედურების გამაქარვებელი, ჭაბუკი არის და

აზარფეშემა, ქჳენი განაქარვებენ თუ ვისმე ჩუენგანში აქჳს გრძნობა უჴღურებასა, ვისაც არა აქჳს გრძნობა და, იმისათჳს სულ ერთია, უჯიროთ და უაზარფეშოთაც, სომხისა არ იყოს, იოლდათ წავა! იქმნება გწყინთ, რომ უგრძნობელად გსახავ ჩუენს თავსა? ვითომც რათა გწყინთ მართლის თქმა, მეც მაგასა გსჩივი, როგორათაც ადრე გსთქჳ, რომ მართლისთჳს მოლაყბეს მეძახიან.— აბა მაშ, თუ გრძნობა რამ მოიპოვება ჩუენში, დავსხდეთ ერთად და მოვილაპარაკოთ, ერის საგანზედ, მხოლოდ სისწორით მიპასუხეთ და ჭეშმარიტებით, თქუენის სამშობლო ენის მზეს!... აბა, დამარწმუნეთ თუ არა, ქართულად ტკატკჳედ?... ოჰ, ავრე, ჩემო სამშობლო ენის მოყვარენო ქართველნო!... ახლა მანდა გაიგონით, გულდგრილად როგორც შეშვენის ქართველის თჳსებასა, ერთის ქართულის ენის მოყვარის ქართველის ამბავი: ერთის დიდს სახოგადოებაში, თითქმის ტფილისის უკეთესთ ზედ მაღალს, შეყრილნი ყოფილიყვნენ რამდენიმე დარბაისელნი, იმათ შორის ხედავენ რომ ზის ქართულის ენის მოყვარე ქართველი, რომელსაც მაღალს სახოგადოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, იქ ჩამოვარდება ქართულს ტკატკჳედ ლაპარაკი, უმაღლესი პირი იტყვის რომ ქართველთათჳს საჭიროება მოითხოვს ქართული ტერტერი, აქედან ის გამოდის, მადლობა ღმერთის სიცრუეთ არ მოლაპარაკენი წარსულს ცისკარში, რომ უმაღლესი ჩუენი მთავრობა, არასა ზრუნავს ჩუენის კეთილ მდგომარეობისათჳს, — ამ

უმაღლესი პირი, პატივი და დიდება ამ გვარ ზრუნველობისათვის, წარმოსთქვამს ყოველსავე ქართულის ენის შემწეობასა, რაც რამ კი გამოუვა ხელითგან. ამ დროს დაფიქრდება ქართულის ენის მოყვარე ქართველი და მოახსენებს, აი ამ გრძნობიან ლექსებით: «რა საჭირო გახლავსთ ქართული ტეატრი მაშინ, როდესაც რომ არის რუსული და ამასთანავე ოპერა იტალიანურს ენაზედ (ესე იგი ფრანცუზულს ენაზედ) გს იქით იყოს, რომ არავის უნდა ქართველებში» უმაღლეს პირს ეს სიტყვები ისე საზიზღრად მიასწვდება, რომ მოარიდებს თავს ქართულის ენის მოყვარეს ქართველს და იტყვის: კეთილი არ გინდათ ღმერთმა ნუ მოგცეთო!...» ახ, კალამო! დასდექ! კალამო, საქართველოს ბატის გამონაცემო! მაჯა აღარ მომდევს შენ საზრალო გიხმარო! რომ გიხმარო, ვისთვს გიხმარო და ან რა სინიდისით რომელს ენაზედ? ეგ შენი ხმეტაკი ფრთა მოვიხმარო ქართველთათვის, რომელნიცა გიტროებენ დღეებზედ უმეტესად?! ქართულს ენაზედ ვამუშაკო, ეგ შენი მშვენიერი, გარნა საწყალობელი ნემსივით განგმირავი მშვილდი, რომელიცა სმულთ ქართველთ? რომელნიცა ყოველგან, ყოვლს ჟამს და ყოვლს წამს ცდილობენ მიჩიანად აღმოფხვრან ხსენება შენი?!!. ნურცა თუ გეშინის! დაგრწმუნებს ერთა ნუგეში, იმ გვარი პირი ნუგეშად, რომლისაგანაც წარმოდგება ბევრი რამ კეთილი საზოგადოდ. გვყავს საზოგადოდ წარმომადგენელი, რომელიცა იცავს ჩუენს პატიოსნებას, ჩუენს ხარისხსა, ჩუენს

ლიტერატურას, ესე იგი თჳთან შენა, არა მოქმედებით, არამედ სიტყვით: გირჩევს ყოველი ნაწარმოები, შენის სიტკბოებით გამოხატული მშვენიერნი ლექსები, გაიტაცებოდეს იარმუკაზედ და იქ გაისყიდებოდეს, უკეთუ არ გაისყიდა, გახდებოდეს საკიცხავად მხილველთა! ეს ხვედრი კი დაეცა, თ. გ. დავითის — ძის, ერისთავისაგან გამოცემულს ცისკარსა! თ. გ. ერისთავი ვახსენე, და უალაგო არ იქმნება ვსთქვა: რა გრძნობით ვუყურებდით თ. გ. ერისთავს, რომელმაცა დააფუძნა « ც ი ს კ ა რ ი » აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და უფრო მეტს შესძინებდა, უკეთუ ჩვენ გარდავგვეხადნა მადლობა დამფუძნებლისათვის, მაგრამ რა, მაგიერი სინიდისა არის ჩვენში! ნაცვლად მადლობისა, ხშირად დამდურებს ისმოდა იმ გვარ კაცზედ, რომლისაცა ტალანტი და შრომა ღირსი არის შენიშვნისა და რომლისა წყალობითაცა ახლაცა გამოდის ჟურნალი. თ. გ. ერის-თავი რომ არ ყოფილიყო, აქამდინაც დაძინებულნი ვიქმნებოდით. რა ნახა ქართველთა პოეტმან, რომ ველარ გაასწყო თავისი გრძნობა ჩვენზედ, დაიჯერა, ამოხვრით დაანება თავი ჟურნალს და სთქვა: როგორც გინდავთ, ისე ჰსწერეთო! ჩვენც მაგის მეტი კი არ გვინდოდა. აი რა ფასი აქვს ჩვენში ჭეშმარიტს ტალანტსა და ამასთანავე შრომასა... საყვარელო წარმკითხველო! მომიტევე, უკაცრავად ნუ ვიქმნები შევაწუხე ბევრის ჩემის ლაყბობით, ამასთანავე მკონია მოკვეცითაც დაიღალენით, აზრმანდით თუ

აგრეთ ნუ შეწუხდებით, საკმაო გახლავსთ!... სარწმუნო ვარ რომ ქართველნი, ვერცა ბევრს მეჭირვებას ავიტანთ და ვერცა მომატებულს სიხარულს. ვაჲ შენ ჩემო თავო, აგი არ დამავიწყდა, დღეს ხომ ორთაჭალას კრივია. არ იქნა მიშველეთ, წავიდეთ თორემ ვეღარ მიუსწრობთ, დაიმალება და ცარიელი დავრჩებით. მერმე თუ ის არა ვართ, შენიმტერი! ზემოთ უბნელებს დამარცხებენ, ესე იგი მოაწმინდელებს და სრულიად დაგვღუპავენ! რა დროს ლიტერატურაა თუ ღმერთი გწამსთ, არა თუ ლიტერატურა ყოველი სიბრძნე იქ არის!!!

ხუმრობა იქით იყოს და, მე ვიცი რომ ძალიან გწყინთ ჩემი ლაყბობა, ესე იგი, სიმართლით ლაპარაკი, რაკი გწყინთ, თუ ამის იქით ვილაყბო ტყავი გამაძრეთ. მაინც რა ტუტუკობაა ჩემის მხრით! რომ არავინ მიგდებს ყურს, რომელმა გაიგონა ჩემი ნათქვამი? არა თუ გაიგეს, სულელსაც მეძახიან გონია რასაკვირველია ისინი, რომელთაც გაცრეცილი აქვსთ გონება და ჭკუამაც არ მოსდით ჩემი ნათქვამი. ჩემი საზოგადოება ხომ რაღა? სულ ამას იძახის: ილაყბოს ილაყბოს და დაჩუმდესო!..

მოლაყბე.

## მოტყუებული ბრილიანჩიკი.

ერთს პარიჟელის ბრილიანჩიკის მაგაზიაში შევიდა ლაზათიანად ჩაცმული უმაწვილი კაცი.

— თქვენ უთუოდ ვერ მიცანით? რასაკვირველია! მე აღარ ვიყავი ვოენნის სამსახურში... მუნდერი, ულვაშები, დეზები... ესენი უეჭველად სცვლის კაცის სახესა. ეხლა სამსახურიდგან გარდავსდექი და დავსახლდი ჩემს მამულში; ხოლო რადგანაც მე აღარ ხშირად ვიღებულობდი ხოლმე თქვენგან სხვა და სხვა საწვრილმანოებსა, ეხლაც ამისათჳს ვიახელი, შემეწიენით აღმოვარჩიო ჩემის საცოლოსათჳს კარგი რამ საჩუქრები. ფასში იმედი მაქვს მოგი-რიგდე.

ჟუველირჩი თუმცა არ იცნობდა მას და არცა ოდესმე ენახა იგი, არც მუნდერში და არცა დეზებითა, მაგრამ მაინც დიდი მოხარული იყო ამ შემთხვეულე-ბით და გარდმოუწყო მან მყიდველსა უძვირფასესი ნივთები ბრილიანტისა. ამ დროს ამ მაგაზიის წინ გაიარა სხვა უსმაწვილმა კაცმა. მყიდველმა დაუკაკუნა მას ფანჯარა. ეს მეორე კაციც შევიდა ამ დუქანში.

— მშვიდობა შენი ნახვა, ჩემო საყვარელო ბა-რონო!... ვეღარც შენა მცნობ?

— ჰა! ალბერტ, შენ ხარ! და მეგობრები გარდა-ეხვივნენ ერთმანეთს.

— დიდი ხანია პარიჟში ხარ? ჰკითხა ახალმა მისულმა ბარონმა.

— ეხლახან მოვედი. ქორწილი მაქჳს, არ იცი?...

—გავიგონე... ბედნიერი ხარ, მომილოცავს, ჩინებული, მდიდარი პარტია ამოგირჩევია! შენი გრაფინიას ყოველს ჭკუიდგან შლიდა... წადი მზათ მოგებულს დააჯექი.—

—შემოიარე როდისმე ჩემგან: დაწვრილებით გიამბობ, როგორ მოვახდინე.

—უთუოთ, რას შვრები, საჩუქრებს ხომ არა ყიდულობ შენის საცოლოსათჳს?

—ნუ იძვირებთ, იგი ღირსია, რომ რაც ინდოეთში ძვირფასი ქვებია იმითი შეამკო.

—მოდი, შენც მიშველე აღმოვარჩიოთ კარგი ნივთები.

—ბატონი ხარ. ოღონდ შენ ფასი. გამოიმეტე თორემ ამორჩევა ადვილია.—

შემდეგ რამდენისამე ქექა-ჩხრეკისა და ფასში დაჩინჩებისა, მათ ამოარჩიეს ნივთები ორასის თუმნისამდინ. როდესაც საქმე მივარდა ფულის მიცემაზედ, საქრმო დაფიქრდა და უთხრა ჯავაირჩს:

—გესმის-რა? დედაკაცნი, ხომ იცი თავიანთ ნათქვამნი არიან... ისინი ჩვენს აღმორჩეულს რასმეს ძნელად მოიწონებენ, და მე არ მინდა რომ ფულები ტყუილად გავდაგყარო... აჰა შენ ოცი თუმანი ზეთ... ჯერ წავალ და გაჩვენებ ჩემს სასიდედროს ამ ნივთებსა... აქავე დგანან, ამ ორიოთ სახლის ქვევით... ჩემი მეგობარი ბარონი კი აქ დარჩება შენთან გირაოდ, ვიდრე დავბრუნდებოდე...

ჯავაირჩი ეთანხმა. საქრმო წავიდა, და გირაოდ ბარონმა დაუწყო დუქნის პატრონსა ლაპარაკი

ახალ ამბავებზედ. დასასრულ, და მასალა შემოაკლდათ საუბრისა, ბარონმა დაიხედა საათზედ ჯიუბისა:

—ეხლა კი უკაცრავად, ჩემო საყვარელო მეგობარო. დღეს არა მცალიან. იმის მოსვლას ვეღარ მოუცდი. ჩვენს სიდედრმა გაუშვა იმას გრძლად დაწერა კი, რომ ამოდენა ხანი დაიგვიანა... ფიქრი ნუ რასა გაქვს, ასეთი მდიდარი საცოლო ჰყავს იმას, რომ ნახევარ წლის შემოსავლით იყიდის შენს დუქანსა... მშვიდობით.—

—ნუ მიწუხდებით, მე არ შემიძლიან თქვენი გაშვება, უთხრა ზორილიანცმა. სიტყვა სიტყვაზედ, მათ მოუვიდათ ლაპარაკი და ჩხუბი...

ამ დროს შემოვიდა დუქანში პოლიციის ჩინოვნიკი და იკითხა მან მიხეკა ფუვირილისა. ჯავაარჩმა უამბო მას ყოველი საქმის გარემოება.

—რამდენი მოგცა ბეთა? ჰკითხა პოლიციის ჩინოვნიკმა.

—ოცი თუმანი.

—მგონია, რომ მე ამ ფულებს უნდა ვიცნობდე... მაჩვენეთ ბეთ მოცემული ფულები.

—აჰა, ოთხი, ხუთ-ხუთ თუმნიანი ბილეთები.

—ჰსწორედ ესენი არიან, წაიბუტბუტა პოლიციის ჩინოვნიკმა. უფალო ბარონო! (უთხრა მან, და მიუბრუნდა გარაოსა) გთხოვთ თან წამომყვეთ...

—რას ნიშნავს ეგა?... როგორ ბედამ მაგ გვარს...

—არაფერსა, პოლიცმეისტერი განგიმარტებს რასაც ნიშნავს... ეგ ფული აქ მომეცით, ეგენი ფალშივებია, ამათი გაკეთებული ბილეთებია... შენით ჩქარა ვიპოვნით შენს ამხანაგებსაც... წამობრ-

ძალით... იმედებულნ ნუ მყოფთ მოვისმართ უსიამოვნო ძალა...

ბარონი დაემორჩილა თავის ბედსა და ჩაუჯდა დროშკაში პოლიციის ჩინოვნიკსა, რომელმაც უბრძანა ჟავაირჩსა, რომ ისიც მოვიდეს პოლიცმეისტერთან ნახევარ საათის შემდეგ ანუ უფრო ადრე.

ხოლო როდესაც ჟავაირჩი მივიდა პოლიცმეისტერთან, მაშინ გამოჩნდა რომ სამნივე პირნი: საქორმოც, ბარონიც და პოლიციის ჩინოვნიკიცა, ყოფილან ამხანაგნი ქურდნი. იმათ არავინ არ იცნობდა და დღესაც არავინ არ იცის რა იქმნენ ისინი.

გ. რჩეულოვი.

## განცხადება.

რადგანაც ამ წლის გამოცემა თავდება, ამა უკანასკნელის ნომრით, ამისთვის რედაქცია ცისკრისა ამის მოითხოვს პატივცემულთა ჩუენის ჟურნალის მკითხველთაგან ბოდიშსა, უკეთუ ჰპოვეს რამე აქამომდე გამოცემულს წიგნებში ნაკლულევანება რამე, ანუ შეცთომა, თუ უწესობა. კარგათ მოეხსენებათ იმ უფალთ, რომ ყოველი დასაწყისი საქმე უნაკლულევანებოდ არა არს შესაძლებელ იყოს აღსრულებულ. მომავალის წლისათვის ვხმარობთ ყოველსავე მეცადინეობასა, გამოვსცემთ ვრცლად და წარმატებით, რომლისათვისაც მოველით დღე დღეზე ქ. ს. პეტერბურღით ჩინებულ ასოებს. სარწმუნო ვართ, ყოველნი ნამდვილნი ქართველნი მოსცემენ რედაქციას შემწეობასა აღსასრულებელად ამა საზოგად სასარგებლო საქმისა.

რედ. ც.

# სარჩევი.


წარჩინებული სიტყჳერება, — პოეზია: I. ჭნიაჳნა მარიამ ერისთავისას (გ.) 1. — II. დამისყანა (თ. რ. ერისთავისა.) 2. III. ვირი (გ.) 3. — III. ეკატერინა მეორისა მიმართ, დერჟავინის მიერ დროსა შუედთა თანა დაზავებისასა. (თ. დ. ციციშვილისა.) 11.—

პროზა: I, მოთხრობა სოფლელისა, (თ. პავლე თუმანოვისა.) 17.—

ჰსწავლა და ჴელოვნება: I. ცხოვრება ქეთევან დედოფლისა, (ალ. სავანელისა.) 25.—II. ცოდნისათჳს განჯაფისა, 48.—III. სალაყბო ფურცელი, (მოლაყბისა.) 53.—

სხუა და სხუა ამბავი: I მოტყუებული ბროლიანჩიკი, (გ. რჩეულოვისა.) 61.—


ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მიმღებნი მსურველთა, შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს; თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჭამბაკურიან ორბელიანის სახლებში! ფასი თორმეტის წიგნისა ესე იგი: ერთის წლისა. ექვსა მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვდი მანეთი თეთრი ფული